ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 11 დეკემბერი, 2015 №291 (6911) ფასი: 50 თეთრი

ირაკლი ალასანია: „ჩვენ არ გვაინტერესებს, ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება თუ არა“

„ხალხი იოლად ხმას აღარავის მისცემს“

გვ.3

გოკა გაბაშვილმა და გია ვოლსკიმ ერთმანეთს აგინეს

გვ.2

დედოფლისწყაროში ნაციონალების ოფისი დაცხრილეს



გვ.2

ელისო კილაძე: „ეკა ბესელია და მანანა კობახიძე ფულს პატიმრების შეწყალებაზე აკეთებდნენ“

გვ.3

„გაზპრომის შემოშვებით მთელ ევროპას გადავიკიდებთ“

ზაალ კასრელიშვილი: „4-5 წელიწადში მოსკოვს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების გადახედვა მოუწევს“

რუსულმა ვერტმფრენმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც მომხდარ ფაქტს პროვოკაციას უწოდებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციას მოუწოდებს, შეასრულოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები.

– 9 დეკემბერს, დაახლოებით 18:48 საათზე, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებულმა რუსულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე დაარღვია და გორის რაიონის სოფლებში კოშკასა და გუგუტიანთკარში განლაგებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საგუშაგოებს გადაუფრინა.

10 დეკემბერს, დაახლოებით 12:48 საათზე, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებულმა რუსულმა მი-8 ტიპის ვერტმფრენმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე დაარღვია და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის ტერიტორიაზე განლაგებულ შსს პოლიციის შენობას გადაუფრინა.

სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ეს პროვოკაციული აქტი მორიგ დადასტურებას წარმოადგენს, რომ რუსეთის ფედერაცია არაფრად მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებისა და პრინციპების დარღვევას, – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

ნიუსპრესი

„ამ სკანდალმა შეიძლება შეწყალებები შეამციროს“

გვ.5

გელა ნიკოლაიშვილი: „ამ თემის აგორება ნაციონალების ინტერესებშია“

ISSN 1987-9385

ლია მუხაშავრია: „ბადაშვილს ელისაშვილის ინფორმაციაზე რეაგირება მყისიერად უნდა მოეხდინა“

გვ.4

გოკა გაბაშვილმა და გია ვოლსკიმ ერთმანეთის აგინეს

დედოფლისწყაროში ნაციონალების ოფისი დაცხრილეს

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობამ საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობა განაახლა, რითაც პარლამენტის სხდომებს პეწი და სიმძაფრე შეემატა.

გუშინ, 10 დეკემბერს, პარლამენტში წლის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი სხდომა გაიმართა. საქმე ის-ის იყო, მუშტი-კრივამდე მივიდა, რომ საიდანღაც მანდატურები მოცვივდნენ და დეპუტატები გააკავეს.

საკანონმდებლო ორგანოში ტემპერატურა რომ აიწევდა, ამას საქართველო 10 დეკემბრის დილიდან ელოდა. სისხამ დილით გავრცელდა ცნობა, რომ ღამით დედოფლისწყაროში ნაციონალური მოძრაობის ოფისი დაცხრილეს. აღნიშნულ ოფისში რაიონის მაჟორიტარის, ნაციონალ ზაზა კედელაშვილის ბიუროცაა განთავსებული.

ოფისდაცხრილულებმა მომხდარში ხელისუფლება დაადანაშაულეს. ვითარებას დრამატული იერი იმანაც შესძინა, რომ ქვეყნის პრემიერიც ამ ქალაქში ცხოვრობს.

ნაციონალების მტკიცებით, ოფისის დაცხრილვაში კონკრეტულად ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის ხელი ურევია. ამ არგუმენტს იმით ამყარებენ, რომ თამაზ თამაზაშვილი ოფისის სიახლოვეს ცხოვრობს. თამაზაშვილის გმობისას მათ რატომღაც არ გახსენებიათ, რომ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენიდან მოკლე ხანში პრემიერის სიმამრის ერთ-ერთი სახლი დაწვეს. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კი ირაკლი ღარიბაშვილის სახლის სიახლოვეს გაურკვეველი პირები ისროდნენ.

ნაციონალებს ამ ფაქტების გამოძიება არ „დასცალდათ“. დამნაშავეების მოძიება არც მეოცნებეებს უცდიათ. სამაგიეროდ, ახლა სთხოვენ შსს-ს, რაც შეიძლება მალე აღმოაჩინონ ავი საქმის შემოქმედი.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სამართალდამცველებს მიმართავს, გამოძიება დაიწყოს.

– სამართალდამცავებს მივმართავ, რომ გამოძიება მოხდეს. სხვანაირადაც მივიღებთ ზომებს, რომ პარლამენტს ინფორმაცია ჰქონდეს. თოფის სროლა, პარტიული ოფისის წინააღმდეგ იქნება თუ სხვა პირის მიმართ, მძიმეა და ამას რეაგირება სჭირდება, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ყველაზე მწვავე რეაქცია გია ბარამიძეს ჰქონდა.

– ეს უკვე ნამდვილად აღარ არის ჩვენი ოფისების ასე ორკესტრირებულად გადაღებვა, წიწილებიანი კვერცხების სროლა ან თუნდაც ჩვენი წევრის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფა. ეს უკვე იარაღის გამოყენებაა. 9 დეკემბერს გედევან ფოფხაძე ჩვენ გვიკიჟინებდა და გვეუბნებოდა, სისხლის დაღვრა გინდათ და ყველა მეთოდით დავიცავთ თავსო. დღეს ჩვენ მივიღეთ ეს. არ ვიცი, რამდენად კავშირშია ეს განცხადებები ერთმანეთთან, მაგრამ ნამდვილად კავშირშია ის, რასაც აკეთებს ივანიშვილი, რასაც აკეთებს ღარიბაშვილი და მისი სიმამრი თამაზაშვილი. ეს არის სწორედ ის ტერიტორია, რომელსაც ძალიან ძლიერად აკონტროლებს დედოფლისწყაროს კლანი და ეს არის ძალიან სახიფათო მოვლენა, – განაცხადა გია ბარამიძემ.

დეპუტატ ნუკრი ქანთარიას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ნაციონალური მოძრაობის ოფისზე იერიში „ქართული ოცნების“ მტრებმა მიიტანეს.

– პირველ რიგში, მინდა გამოვხატო არა მარტო შეშფოთება, არამედ სერიოზული გაბრაზება იმასთან დაკავშირებით, რაც გია ბარამიძემ თქვა, დაიცხრილა ოფისიო. ეს მართლაც აღმაშფოთებელია. საეჭვოდ ემთხვევა 9 დეკემბერს რეზოლუციის განხილვის დღეს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ კაკო ბობოხიძემ დაავალა ვინმეს, მაგრამ ეს „ქართული ოცნების“ მტრების მიერ არის გაკეთებული. ამას ხაზგასმით ვამბობ. ვინც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა პირადი მიზნები ამოძრავებდეს, ამ ხალხის აღკვეთა აუცილებლად უნდა მოხდეს, – განაცხადა ქანთარიამ.

ნუკრი ქანთარიას მოსაზრებას იზიარებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი. მისი თქმით, ვისაც არ უნდა გაეკეთებინა ეს, მან სწორედ „ქართული ოცნების“ ინტერესებს ესროლა.

დეპუტატის მტკიცებით, ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვის გზით ნაციონალური მოძრაობა მიდის. ვოლსკიმ ოფისდაცხრილულ დეპუტატზეც გაამახვილა ყურადღება და მას ყოფილი ზონდერი უწოდა.

– სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ეკრანებზე ფარული ჩანაწერების კადრები გამოჩნდა, როდესაც ადამიანს ბოთლით აუპატიურებენ, როდესაც ადამიანებზე ასეთი ზეწოლა, ასეთი გათელვა მიდის. ეს არის სახე და ამ სახის გადაფარვა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ელისო კილაძე: „ეკა ბესელია და მანანა კობახიძე ფულს პატიმრების შეწყალებაზე აკეთებდნენ“

ეკა ბესელია: „ქალბატონი ნუკრის განცხადებებზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ“

რამდენიმე დღის წინ ალეკო ელისაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება დღემდე დიდი მითქმა-მოთქმის საბაბია. ელისაშვილს მხარი გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორმა ელისო კილაძემაც აუბა.

კილაძის ინფორმაციით, პატიმრების შეწყალების სანაცვლოდ ფულს უმრავლესობის წევრები ეკა ბესელია და მანანა კობახიძე იღებდნენ.

მისი თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ სწორედ ეს დეპუტატები იყვნენ ჩართული კორუფციულ გარიგებებში.

– არსებობდა დასაბუთებული ვარაუდები, ეჭვები იმის თაობაზე, რომ შეწყალების კომისიაში მაღალჩინოსნები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართული და ცდილობდნენ პატიმრების შეწყალებას, ისევე, როგორც პოლიტპატიმართა სიების შედგენისას, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ მიდიოდა ვაჭრობა.

მაგალითად, ეკა ბესელია პოლიტპატიმართა სიებში გარკვეული ადამიანებისგან გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა. ეკა ბესელია არ არის ერთადერთი, ასევე არის მანანა კობახიძე. ეს ადამიანები იყვნენ წარსულში უფლებადამცველები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დღეს უკვე პატიმრების შეწყალებაზე აკეთებდნენ ფულს, – განაცხადა ელისო კილაძემ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას თქმით, თუ შეწყალების კომისიაში ელისაშვილის თავმჯდომარეობის პერიოდში პატიმრების შეწყალება ანგარებით ხდებოდა, საკრებულოს დეპუტატმა ეს ფაქტებით უნდა დაამტკიცოს.

– ალეკო ელისაშვილს აკისრია ვალდებულება, რომ გარდა ამ განცხადებებისა, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოა, პროკურატურას წარუდგინოს კონკრეტული ფაქტები და წინადადებები. აქ ბევრი კითხვა ჩნდება, გარდა იმისა, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში რატომ დუმდა ეს ადამიანი. რადგან ჩვენება მიცემული აქვს, ის ან ცრუ ჩვენებისთვის აგებს პასუხს, ან ვალდებული იქნება, დაასაბუთოს ფაქტები და მტკიცებულებები წარადგინოს, დაასახელოს ერთი ადამიანის გვარი მაინც, რომელიც ანგარების მოტივით მოხვდა იმ სიაში, – განაცხადა ბესელიამ.

ბესელია ელისო კილაძის განცხადებას სერიოზულად არ აღიქვამს და ასეთი კომენტარით შემოიფარგლება:

– მე ქალბატონი ნუკრის განცხადებებზე სერიოზულ კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ.

ალეკო ელისაშვილის ინფორმაციით, შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში მასზე მაღალჩინოსნები ზეწოლას ახორციელებდნენ. მისი თქმით, კონკრეტული მაღალჩინოსნები მას ურეკავდნენ და უთითებდნენ, ვინ უნდა შეეწყალებინათ.

პროკურატურამ ელისაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე უკვე დაიწყო გამოძიება ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით.

გიორგი მარგველაშვილი: „ადამიანის უფლებების დაცვისთვის ძალისხმევას ჩემი საქმიანობის უმთავრეს ამოცანად მივიჩნევ“

საქართველოს პრეზიდენტი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიმართვას ავრცელებს. ნიუსპრესი მას უცვლელად გთავაზობთ:

– 1948 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, რომელიც ადამიანის უნივერსალურ და საყოველთაო უფლებათა დაცვას პოლიტიკური საქმიანობის უმთავრეს ამოცანად აცხადებს. ამ დღის უკან კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორია, მრავალი საუკუნის უდიდეს მოაზროვნეთა ძალისხმევა დგას.

ადამიანის უფლებები უმთავრესი ეთიკური პრინციპებია, რომლებიც მარადიულ ფასეულობებად აცხადებს ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობას – მათ შორის ყველა განსხვავებათა მიუხედავად.

საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს და იცავს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს.

თუმცა, სამწუხაროდ, ჯერაც არ ვართ თავისუფალი სხვადასხვა მოტივით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებისაგან. მსგავსი მოვლენები რომ ავიცილოთ თავიდან, კვლავ ბევრი მუშაობა გვმართებს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფა იმგვარად, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ურყევი რწმენა – მათი უფლებების არცერთი დარღვევა არ დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე. საჭიროა ხელისუფლების კონსოლიდირებული მუშაობა უფლებათა დარღვევის სოციალურ, ეკონომიკურ, ყველა სხვა წინაპირობათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან, საზოგადოების თითოეულმა წევრმა თავისი ძალისხმევა უნდა მოახმაროს ამ საქმეს. უნდა გავითავისოთ, რომ სხვათა უფლებების დაცვით ვიცავთ საკუთარ უფლებებსაც.

ადამიანის უფლებების დაცვისთვის ძალისხმევას ჩემი საქმიანობის უმთავრეს ამოცანად მივიჩნევ. ვპირდები ჩემს თანამოქალაქეებს, რომ მუდამ ვიდგები თითოეული მათგანის თავისუფლების სადარაჯოზე.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გაზპრომის შემოშვებით მთელ ევროპას გადავიკიდებთ“

ზაალ კასრელიშვილი: „4-5 წელიწადში მოსკოვს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების გადახედვა მოუწევს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ შეიძლება საქართველოში გაზპრომის შემოშვება, რა პირველი სარგებელი ნახა საქართველომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებით, რატომ მოუწევს რუსეთს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება საქართველოსთვის? – ამის შესახებ ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– გაზპრომის საქართველოში შესაძლო შემოსვლას უარყოფითად ვუყურებთ. ამის მიუხედავად, გაზპრომთან მოლაპარაკებების გამო საქართველოს ხელისუფლებას ჯერ ვერ ვუსაყვედურებთ, იმიტომ, რომ მოლაპარაკება შეთანხმებას არ ნიშნავს, თანაც, დარწმუნებული ვართ, რუსებს არაფერი გამოუვათ. გაზპრომი ვალებშია ჩაფლული და სერიოზულ განახლებას საჭიროებს. ამასთან, ის აზერბაიჯანულ გაზს ვერც ხარისხითა და ვერც ფასით კონკურენციას ვერ გაუწევს. საჭიროების შემთხვევაში ბაქო თბილისს დემპინგურ ფასებში მიჰყიდის თავის პროდუქტს.

– თქვენ კი თქვით, რომ მოლაპარაკება შეთანხმებას არ ნიშნავს, მაგრამ ბევრი ექსპერტი გაზპრომთან დაწყებულ მოლაპარაკებას მაინც შეშფოთებით უყურებს. ტყუილად შფოთავენ?

– ტყუილად ნამდვილად არ შფოთავენ. გაზპრომთან მოლაპარაკება მხოლოდ ენერგომატარებლების მოწოდებას არ გულისხმობს. ამ ყველაფრის უკან დიდი გეგმა იმალება. 2018 წლამდე შუა აზიაში არსებულმა ენერგომატარებლებმა აზერბაიჯანის გავლით უნდა გაიაროს საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი და ევროპაში ასე შევიდეს.

მას შემდეგ, რაც თურქეთსა და რუსეთს შორის სიტუაცია დაიძაბა, ანკარა სერიოზულად დაფიქრდა რუსული გაზის ალტერნატივაზე, რადგან ერთ მშვენიერ დღეს მათ მოსკოვმა ბუნებრივი აირის მიწოდება შესაძლოა შეუწყვიტოს. ამიტომ ანკარა აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან ერთად იღებს ვალდებულებას, რომ შაჰდენიზის პროექტს დათქმულზე 2 წლით ადრე ანუ 2018 წელს დაამთავრებს.

ამ პროექტის ამოქმედების შემთხვევაში შუა აზიიდან წამოსული გაზი რუსეთის გვერდის ავლით შევა ევროპაში, რაც მოსკოვს მთავარ ბერკეტს – გაზპრომით მანიპულირებას – ხელიდან გამოაცლის.

– შაჰდენიზის პროექტის ამუშავება გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი. რატომ მოხდა შეფერხება?

– ამ პროექტის განხორციელებას ანკარა აფერხებდა. თურქეთი საჭირო ბუნებრივი აირის 70%-ს რუსეთიდან იღებს. წლების განმავლობაში თურქეთის ხელისუფლება სცოდავდა, რუსეთიდან იაფ გაზს იღებდა და შაჰდენიზს აფერხებდა.

– არის გარანტია, რომ თურქეთი იმავეს არ გაიმეორებს?

– ვეღარ გაიმეორებს, რადგან მათ შორის სერიოზულად დაიძაბა ურთიერთობა. ისინი ერთმანეთს იარაღით არ დაუპირისპირდებიან. ანკარა ახლა ყველაფერს გააკეთებს, რომ სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის გავლენა მაქსიმალურად შეზღუდოს, რაც მის ჩრდილოეთ საზღვრებთან სიმშვიდეს უზრუნველყოფს.

რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რომ შაჰდენიზის პროექტი ჩაშალოს, შეეცდება, საქართველოში გაზპრომი შემოიყვანოს. ამით ის მხოლოდ თურქეთის ენერგომომარაგებას არ შეუქმნის პრობლემას. ის კავკასიაში უმაღლეს წერტილს, საქართველოს, აიღებს და შუა აზიიდან წამოსულ ბუნებრივ აირს საქართველოს გავლით ევროპისკენ არ გაატარებს. ამით ის ევროპისთვის იმაზე საჭირო გახდება, ვიდრე აქამდე იყო.

რა გასაკვირია, რომ გაზპრომის ხელმძღვანელობა საქართველოს ხელისუფლების მიმხრობას ცდილობდეს. საქართველოში შემოსვლა მოსკოვისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც თურქეთისთვის შაჰდენიზის ამოქმედება.

– ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის ხათრით ხომ არ გამოფინა რუსეთის გენშტაბმა საინტერესო რუკები, სადაც სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოს ფარგლებშია მოქცეული? ზოგიერთი პოლიტიკოსი ამას მნიშვნელოვან მესიჯადაც კი მიიჩნევს. ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება?

– გენშტაბმა გეოგრაფიული რუკები გამოფინა. რუკა პოლიტიკური რომ ყოფილიყო, მაშინ სხვანაირად შეიძლებოდა ფიქრი. განსაკუთრებული მინიშნება ჩვენ ვერ წავიკითხეთ, თუმცა ვთვლით, რომ ეს იყო მესიჯი. ამ რუკების გამოფენას წინ რამდენიმე რუსი პოლიტიკოსის განცხადება უძღოდა. მათი განცხადებით, თურქეთი დაუმსახურებლად ფლობს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებს.

კომენტარების გაკეთებას ერთი მარტივი მიზეზის გამო არ ვჩქარობთ. როდესაც მოსკოვი ხედავს 100 წლის წინ მისივე ხელმოწერილი შეთანხმების წყალობით დაკარგულ ქართულ მიწებს, აუცილებლად უნდა დაინახოს მის მიერ წართმეული ქართული მიწები. ამ შემთხვევაში აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვგულისხმობ.

საქართველოსთან საერთო ენის გამონახვის მიზნით თუ აკეთებენ ამ განცხადებებს, მაშინ საქმით უნდა აჩვენონ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დასაბრუნებლად მზად არიან.

– ზემოთ თქვენ ახსენეთ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს შაჰდენიზის პროექტის ჩასაშლელად. ამ მიზნის მისაღწევად ნავთობსადენს ხომ არ გამოიყენებს? ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საოკუპაციო ზოლთან ახლოსაა.

– მოსკოვისგან არაფერია გამორიცხული. მათ შესაძლოა ნავთობსადენს

სერიოზული პრობლემები შეუქმნან, შესაძლოა ქურთი მეამბოხეები შეაიარაღონ და ქურთისტანის დამოუკიდებლობა აღიარონ. მიზნის მისაღწევად თურქეთიც ყველაფერზე წავა. მასაც აქვს ბერკეტები, რომ რუსეთის სახელმწიფოებრიობას პრობლემები შეუქმნას. ჩვენდა საუბედუროდ, მათი ბრძოლის მეთოდები კავკასიაზე, კონკრეტულად კი საქართველოზე გადის.

– ამ ვითარებაში რა ბედი ელის სომხეთს, რომელიც გაზს საქართველოს გავლით რუსეთიდან იღებს? ისინი არ გააპროტესტებენ გაზპრომის ჩაჩოჩებას? მათგან რაიმე პრობლემები ხომ არ შეიქმნება?

– დამოუკიდებლად ერევანი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. მას სერიოზული პრობლემები აქვს აზერბაიჯანთან, რომელიც თურქეთის სტრატეგიული პარტნიორია. თუ ერევანი თურქეთისთვის რაიმე ზიანის მიყენებას გადაწყვეტს, ბაქოსგან სერიოზულ დარტყმას მიიღებს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ირაკლი ალასანია: „ჩვენ არ გვაინტერესებს, ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება თუ არა“

„ხალხი იოლად ხმას აღარავის მისცემს“

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ნატოს მინისტერიალსა და რეგიონში შექმნილ ვითარებაზე ინტერპრესნიუსი თავისუფალი დემოკრატების ლიდერ **ირაკლი ალასანიას** ესაუბრა.

– თავისუფალმა დემოკრატებმა მიმდინარე კვირას პროგრამა „მოქალაქის ხმა“ შეაჯამეს. რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა, რომელთა წინაშეც საქართველოს მოქალაქეები დგანან და როგორ აპირებთ ამ მოქალაქეების ხმების ხელისუფლებამდე მიტანას?

– მოსახლეობას ვხვდებით, რომ კარგად შევისწავლოთ ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს ხალხს აწუხებს. გვაქვს ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც სწორედ უმუშევრობის, გაზრდილი ფასებისა და სხვა პრობლემის გადაჭრისკენ არის მიმართული, ასევე გვინდა, ხიდის ფუნქცია შევასრულოთ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის.

ალასანიას თქმით, საზოგადოებამ დაინახა, რომ მთავრობა მარტო საკუთარ თავს ელაპარაკება, რაც ყველაზე დიდი იმედგაცრუების საფუძველია. მთავრობა არ ელაპარაკება ხალხს.

– ეს განწყობა იგრძნობა როგორც დედაქალაქში, ისე რაიონებში. ამიტომაც ჩვენ ჩავატარეთ ვრცელი პრესკონფერენცია და ეს პრობლემები მედიის საშუალებით შევახსენეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში თბილისის მერიას. გარდა ამისა, მერიას წერილობით გადავუგზავნეთ პრობლემების ანალიზი, – აცხადებს თავისუფალი დემოკრატების ლიდერი.

მას ყოველთვის ესმის შეკითხვები – თქვენც ხომ ამ ხელისუფლების ნაწილი იყავით? რატომ წამოხვედით „ქართული ოცნებიდან“?

– ამაზე გვაქვს მარტივი და სწორი პასუხი – ჩვენ არასდროს მიგვიტოვებია „ქართული ოცნების“ ღირებულებები. „ქართულმა ოცნებამ“, ივანიშვილის მთავრობამ შეაქცია ზურგი ამ ღირებულებებს. ამიტომაც საზოგადოებაში ჩვენ ვხედავთ შანსს, რომ ერთად დავდგებით სწორედ იმ ღირებულებებისთვის, რომლებისთვისაც ამდენი ხალხი გავერთიანდით, რათა შეგვეცვალა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება და ამჯერად შევცვლით ივანიშვილის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, იმიტომ რომ მათ გაწყვიტეს კავშირი ხალხთან, არ ასრულებენ იმ მოვალეობას, რაც პირდაპირ ეკისრებათ – პასუხისმგებლობით იზრუნონ საკუთარ მოსახლეობაზე, – აღნიშნავს ირაკლი ალასანია.

– „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანება თქვენი მხრიდან შეცდომა იყო? როდესაც განსხვავებული იდეოლოგიისა და ხედვების ძალები იკრიბება, ყოველთვის არის საფრთხე, რომ ეს კავშირი მდგრადი ვერ აღმოჩნდება.

– საფრთხე ყოველთვის არის, მაგრამ იმდენად დიდი იყო საზოგადოებაში გადაღლა და ნეგატიური დამოკიდებულება სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, იმდენად აუცილებელი იყო იმ რეჟიმის შეცვლა, რომ მაშინ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ამ დიდ გაერთიანებაში ლომის წილი შეიტანა ბიძინა ივანიშვილმა და მე ასმაგად კიდევ უფრო გული მწყდება, რომ ის მაღალი სასტარტო პოზიციები, რომლებიც გვქონდა, სამწუხაროდ, გაფანტა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“. ეს არავის გვიხარია, მაგრამ ცხოვრება გრძელდება.

ალასანიას თქმით, თავისუფალი დემოკრატები მომავალზე უნდა იყვნენ ორიენტირებული.

– ეკონომიკურ ზრდას თუ ვერ მივაღწიეთ, მაშინ ვერც თავდაცვა გვექნება, ვერც – ჯანდაცვა, ვერც მასწავლებლებს გავუზრდით ხელფასს და ვერ მივეხმარებით ჩვენს შვილებს, კვალიფიციური განათლება მიიღონ და ა.შ. – აცხადებს ირაკლი ალასანია.

მისი აზრით, შემდეგი არჩევნები არ იქნება ზიზღის არჩევნები, არ იქნება არჩევნები „ყველა ერთის წინააღმდეგ“, როგორც ეს იყო ოცწლეულის განმავლობაში.

– შემდეგი არჩევნები იქნება პლურალისტური არჩევნები, სადაც საზოგადოებას მრავალფეროვანი არჩევანი ექნება. ხალხი ასე იოლად ხმას აღარავის მისცემს ბევრი იმედგაცრუების და ყალბი დაპირებების გამო, – ამბობს თავისუფალი დემოკრატების ლიდერი.

– ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა არ იცის, ვის მისცეს ხმა. თქვენ თქვით, რომ, სათანადო მონდომების შემთხვევაში, თავისუფალ დემოკრატებს გაქვთ უნარი, ეს სეგმენტი თქვენ მხარეს გადაიბიროთ. როგორ აპირებთ ამას, როცა თქვენს პარტიას 4%-იანი რეიტინგი აქვს?

– იმ რეიტინგში ჩანს, რომ ჩვენ ვართ მესამე ძალა. ჩვენ პოლიტიკური აქტივობა სექტემბრიდან დავიწყეთ. ერთადერთი სწორი ფორმა, რაც ავირჩიეთ, არის კავშირის აღდგენა საზოგადოებასთან. იმიტომ ვართ ხალხთან, იმიტომაც გვესმის მათი პრობლემების და ვსაუბრობთ მათი მოგვარების პერსპექტივებზე, რომ სწორედ ამ გზით მიგვაჩნია სწორად იმ 50%-ზე მეტი გაუცხოებული მოსახლეობის ნდობის აღდგენა. დარწმუნებული ვარ, ამას მივაღწევთ და შემდეგი რეიტინგები დაფიქსირებს ელექტორალურ ცვლილებას.

პოლიტიკური ლიდერების რეიტინგებში ჩვენი პარტიის ლიდერები კარგ პოზიციებს იკავებენ. ეს არის ის პოტენციალი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ და პარტიის ნდობა ლიდერების ნდობამდე გავზარდოთ.

– რამდენად გაქვთ თავისუფალ დემოკრატებს შანსი, დამოუკიდებლად მიაღწიოთ ხელშესახებ წარმატებას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში და ხომ არ გეგმავთ რომელიმე ძალასთან კოალიციის შექმნას ან სხვა ტიპის თანამშრომლობას?

– ვერ ვხედავ ვერცერთ ძალას, რომელთანაც შემიძლია, ალიანსი შევკრა, გარდა ხალხისა და ქართველი საზოგადოებისა. ამიტომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ამ არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას. საფუძვლიანი იმედი გვაქვს, რომ მოვიპოვებთ იმ უმრავლესობის მხარდაჭერას, რომელიც დღეს არის ჩამოუყალიბებელი.

ალასანიას აზრით, დღევანდელი მთავრობა არაკომპეტენტურობით გამოირჩევა.

– მათ არ იციან საქმის კეთება და არც ეკითხებიან ისეთ ადამიანებს, რომლებსაც კომპეტენტური რჩევის მიცემა შეუძლია. არ იციან იმიტომ, რომ არ ელაპარაკებიან ხალხს., – ამბობს თავისუფალი დემოკრატების ლიდერი.

მისი აზრით, გარკვეულ ძალებს სამიზნედ ჰყავთ ამორჩეული პრეზიდენტის ინსტიტუცია, რომელზეც წლების განმავლობაში იერიშია მიტანილი, რაც დამაზიანებელია ქვეყნის საერთო იმიჯისთვის.

– პროგრესული ძალები ჩვენი მაშინდელი კოალიციიდან, როგორიცაა თავისუფალი დემოკრატები, როგორიცაა თავად პრეზიდენტი მარგველაშვილი, სწორად ვიქცევით, როდესაც არ ვერთვებით კინკლაობაში და ვართ მომართული, როგორ გამოვასწოროთ ხალხის პრობლემები, – აცხადებს ირაკლი ალასანია.

– პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალები ჩნდებიან, მაგალითად, პაატა ბურჭულაძის „საქართველოს განვითარების ფონდი“, ასევე კიევის ყოფილმა მერმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ დააარსა პოლიტიკური პარტიის შექმნა. როგორ აფასებთ ამ ადამიანების პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილებას, მათ შანსებს და რაიმე ფორმით თანამშრომლობას თუ გეგმავთ?

– ჩვენ ვაშენებთ თავისუფალ ქვეყანას და ყველას არჩევანი, აკეთოს ის, რაც მას სურს, ხელშეუხებელი უნდა იყოს. ყველას აქვს უფლება, იყოს პოლიტიკაში, ბიზნესში ან სხვა გზას დაადგეს. მე არ ვიცნობ ლეონიდ ჩერნოვეცკის, წარმოდგენა არ მაქვს მის მიზნებზე, მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცნობ პაატა ბურჭულაძეს. ჩვენ წლებია, მეგობრები ვართ და პატივს ვცემ მას, მაგრამ მე არ ვიცი მისი პოლიტიკური ხედვა; არ ვიცი, რა გუნდია; არ ვიცი, რა ღირებულებებზე იქნება მისი პარტია დაფუძნებული, ამიტომ პოლიტიკურ შეფასებას და დამოკიდებულებას ვერ დავაფიქსირებ, ვიდრე არ გაირკვევა მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ღირებულებები.

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობას თუ განიხილავთ და

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

ლია მუხაშავრია: „ბადაშვილს ელისაშვილის ინფორმაციაზე რეაგირება მყისიერად უნდა მოეხდინა“

„შეწყალების კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობა მაღალია“

ნათია ხურცილავა

შეწყალების კომისიის წევრი, უფლებადამცველი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კომისიამ კორუფციის ერთი ფაქტი გამოავლინა და მასში მონაწილე ადვოკატი დღეს პატიმრობაში იმყოფება.

– ქალბატონო ლია, იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც პროკურატურას მოქმედმა თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ და ყოფილმა თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილმა მიაწოდეს, აქამდე თუ გსმენიათ?

– არა, ჩემთვის ეს ინფორმაცია ცნობილი არ ყოფილა. ამის შესახებ არავის უთქვამს.

– მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეებზე იყო ზეწოლის ფაქტები, როგორც ისინი ამბობენ?

– როგორც ჩანს, მხოლოდ თავმჯდომარეებთან მიმდინარეობდა ეს საუბრები და პროცესები, ვერ გეტყვით, შეიძლება, სხვასთანაც იყო.

– ირიბად ან პირდაპირ თუ იყო თქვენთან მსგავსი ზარი ან ზეწოლის ფაქტი?

– არა, ნამდვილად არა. ჩემი რეპუტაციის გამო, მიხარია, რომ არც არავის მოუსინჯავს. ყველამ კარგად იცის, ვინ ვარ და როგორ ვრეაგირებ მსგავს საკითხზე. ამიტომ ჩემთან არ ყოფილა მსგავსი რამ.

– კომისიის რომელიმე წევრზე თუ იყო, თუ იცით ამის შესახებ?

– არა, არ ყოფილა. იყო ერთი შემთხვევა შარშან, როდესაც ადვოკატი თავის კლიენტს ატყუებდა, რომ შეწყალების კომისიაში ჩააწყო საქმე და კლიენტს ფულს სძალავდა. ფაქტი გამოვავლინეთ და ეს ადვოკატი დღეს დაპატიმრებულია. სხვა შემთხვევა არ ყოფილა.

ძალიან ბევრს დაეგზავნა შეტყობინება, რომ მსგავსი რამ არ უნდა ცადოს, რადგან ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. მაღალი რანგის პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, ეს შეტყობინება არ მიუვიდათ ან მიუვიდათ და ყურში არ შეუშვეს. ეს აშკარად გავლენის ბოროტად გამოყენების მცდელობაა.

– თუ შეიკრიბა კომისია?

– არა, ალბათ, რამდენიმე დღეში შევიკრიბებით. ჩვენ ისედაც თავგამოდებით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვმუშაობთ და, არა მგონია, დამატებითი შეკრება იყოს საჭირო.

– როგორი მექანიზმით მუშაობს კომისია, როგორ ხდება რეკომენდაციების გაწევა პრეზიდენტთან? ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას კომისიაში იღებს ვინმე?

– კომისია პრეზიდენტის სარეკომენდაციო-სათათბირო ორგანოა. კომისია სწავლობს შემოსულ განცხადებებს და რეკომენდაციას უწევს კონკრეტულ პირებს კონკრეტული შეწყალების ღონისძიებაზე. პრეზიდენტს უფლება აქვს, მთლიანად შეიწყალოს და პატიმრობიდან გაათავისუფლოს პირი, ან ნაწილობრივ შეიწყალოს, ან პატიმრობის ვადა გაუნახევროს, ან გარკვეული ვადა შეუმციროს. ჩვენი სათათბირო-სარეკომენდაციო წინადადებები არ არის სავალდებულო პრეზიდენტისთვის, მაგრამ ჩვენ გვაქვს პრეზიდენტთან შეთანხმება, რომ ის ჩვენს წინადადებებს გაითვალისწინებს.

მას შემდეგ, რაც ერთად ვმუშაობთ, ჩვენი პოზიციები ძალიან დაახლოვდა. ერთნაირად ვფიქრობთ, ჩვენს ბევრ რეკომენდაციას დიდწილად ის ეთანხმება და იზიარებს. კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რომ პრეზიდენტს სრული უფლება აქვს, ვინც უნდა, ის შეიწყალოს.

– ბევრი აზრი გამოითქვა, თუ რატომ არ მიმართა ალეკო ელისაშვილმა პროკურატურას წერილობით. უნდა მიემართა?

– როდესაც ასეთ ფორმალობას ითხოვენ, ეს პროკურატურის ძალიან სერიოზული პრობლემაა. ადამიანმა გულწრფელად მიმართა მთავარ პროკურორს, მეტი რა უნდა ექნა, ადვოკატი უნდა დაექირავებინა და განცხადებები ეწერა? პროკურატურას უნდა მოეხდინა რეაგირება. ახლა არ არის სავალდებულო, თორემ პრესაში გასული ინფორმაცია სავალდებულო იყო პროკურატურისთვის, რომ გამოძიება დაეწყო. რაზე ვსაუბრობთ, რადგან წერილობით არ დაწერა, ამიტომ არ იყო ბადაშვილი ვალდებული, რომ რეაგირება მოეხდინა?!

– საუბარია უფრო მაღალი თანამდებობის პირებზე, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარეზე, პრეზიდენტზე, რომლებიც ელისაშვილმა, როგორც თავად ამბობს, საქმის კურსში ჩააყენა. რატომ არ იყო ადეკვატური რეაგირება?

– სამწუხაროა, რომ ამ ფაქტებს ასე წაუყრუეს და ასეთი პოზიცია გამოავლინეს. ალეკო ელისაშვილი კეთილსინდისიერი თავმჯდომარე რომ არ ყოფილიყო, მაშინ რა გამოდის, რომ ეს კორუფციის ბუდეა?!

– თუ თავმჯდომარე თანახმა იქნებოდა კორუფციულ სქემაში მონაწილეობაზე, მაშინ კორუმპირებულ მექანიზმს მივიღებდით?

– ბუნებრივია. სწორედ ამაზე ვსაუბრობ. საბედნიეროდ, ალეკო ასეთი ადამიანი არ არის, არც მოქმედი თავმჯდომარე ზვიად ქორიძეა ასეთი ადამიანი და არც კომისიაშია ასეთი. ამიტომ ვერ იმუშავა კორუფციის მექანიზმმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა?!

ეს ხომ კატასტროფაა. როდესაც პრეზიდენტი ენდობა კომისიას, მისგან იღებს რეკომენდაციას, ამ დროს რა ხდება? ძალიან კარგია, რომ კომისიის ყოფილმა და მოქმედმა თავმჯდომარეებმა დაამტკიცეს, რომ კეთილსინდისიერი ადამიანები არიან.

მე, როგორც პროფესიონალ უფლებადამცველს, კარგად მესმის, რომ ადამიანები თავისუფლების მოპოვებისთვის ყველაფერზე წავლენ, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ კორუფციის ბუნაგად ვიქცეთ!

– აქამდე რატომ არ განაცხადეს საჯაროდ ამ ფაქტებზე ყოფილმა ან მოქმედმა თავმჯდომარემ?

– როგორც გავიგეთ, ყოფილ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილს უთქვამს.

– პირად საუბარში.

– უკაცრავად, მთავარ პროკურორთან პირადი საუბარი არ არსებობს. ის პროკურორთან სახლში ჩაისა და ყავაზე არ მისულა, პროკურატურაში მივიდა და მოუყვა, როგორც ამბობს ოფიციალური პირი. ქუჩაშიც რომ შეხვედროდა და ჩაიზეც რომ მოეყოლა ეს ინფორმაცია, პროკურორს სათანადო ყურადღებით უნდა მიეღო. საუბარია ძალიან სერიოზულ საკითხზე, რომელზე რეაგირებაც მყისიერი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, შეტყობინება რა ფორმით არის გაკეთებული.

– შეწყალების კომისიის რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ დადგება?

– არანაირად, პირიქით. მე ვფიქრობ, სწორედ ამ ფაქტებმა დაადასტურა, რომ კორუფცია არ არის, რომ კომისია კეთილსინდისიერი ადამიანებით არის დაკომპლექტებული და პრეზიდენტი და საზოგადოება ამ კომისიას ენდობიან.

ეს ადამიანების მაღალი მომართვიანობიდანაც ჩანს. ამ პერიოდის განმავლობაში ერთი შემთხვევაც რომ ყოფილიყო, გამოჩნდებოდა. პირიქით, გამოვლინდა, რომ არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. საზოგადოებას აქვს ნამდვილი ნდობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვრელი თუ გაჩნდა, იქ გასაძრომს ყველა მოძებნის.

„გაზპრომის შემოშვებით მთელ ევროპას გადავიკიდებთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– აღნიშნეთ, რომ რუსეთისა და თურქეთის ბრძოლის მეთოდები საქართველოზე გადის. ამ ვითარებაში რა უნდა გავაკეთოთ, რომ რაიმე შარში არ გავყოთ თავი?

– საამისოდ ბევრი რამის გაკეთება მოგვიწევს. ამ თემებზე არც ასე ღიად შეიძლება საუბარი. ეს საგაზეთო თემა არ გახლავთ.

– რადგან ეს საგაზეთო თემა არაა, მაშინ ასე გკითხავთ – რა უნდა აირჩიოს საქართველომ – შაჰდენიზი თუ გაზპრომი?

– გაზპრომს თუ შემოვუშვებთ, ამით ვაწყენინებთ შუა აზიის ქვეყნებს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და მთელ ევროპას.

– ევროპას რა უნდა ეწყინოს, თავად გაზპრომის გაზზე არ ზის?

– გაზპრომზე კი ზის, მაგრამ მანდ სხვანაირი გარიგებებია და ასე მარტივად არ არის საქმე. შაჰდენიზის ამოქმედების შემდეგ აღარ ისხდებიან გაზპრომზე. ასე რომ, თუ გაზპრომს არ შემოვუშვებთ, ვაწყენინებთ მხოლოდ რუსეთს.

სულ არ მაინტერესებს, ეწყინება თუ არა რუსეთს. მათ თავის დროზე ქართულ სახელმწიფოებრიობას დაარტყეს და დღემდე ოცნებობენ საქართველოს დაშლაზე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარება ენერგომატარებლების დონეზე დაუშვებელია.

საქართველოს ხელისუფლებაში ნურავის ჰგონია, რომ თუ გაზპრომის ინტერესებს დააკმაყოფილებენ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება. აქ უფრო მასშტაბურ გარიგებებზეა ლაპარაკი.

რადგან ღმერთმა ისე ინება, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის კონფლიქტია, ჩვენ აუცილებლად ვნახავთ ხეირს. მოსკოვსა და ანკარას შორის როცა სიმშვიდე ისადგურებდა, ყოველთვის ვზარალდებოდით, დაპირისპირებას კი ხეირი მოჰქონდა. ახლა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ოფლითა და სისხლით მოიტანეს.

მარტო გაზპრომზე ლაპარაკი დანაშაულია. თბილისმა ინტენსიური მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს როგორც მოსკოვთან, ასევე ევროპასთან. მეგაზპრომეებს ერთი რაღაც მინდა შევახსენო: საქართველოსა და აშშ-ს შორის გაფორმებულია სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, რომელიც ჩვენს ქვეყანას ვალდებულებებს აკისრებს.

– ვთქვათ, მოხდა სასწაული და რუსეთი, გაზპრომის შემოშვების სანაცვლოდ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას დათანხმდა. ასეთ შემთხვევაში რა უნდა გავაკეთოთ, ვაწყენინოთ ევროპას?

– დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, გაზპრომის შემოშვების გარეშეც მოუწევს რუსეთს ცხინვალისა და სოხუმის აღიარების საკითხის გადახედვა. მოსკოვი იძულებული გახდება, დაალაგოს ურთიერთობები კავკასიელებთან. თურქეთთან დაპირისპირებაში მთავარი სიმაღლე კავკასიაა. ვინც ამ სიმაღლეს აიღებს, მას ექნება პოზიციური უპირატესობა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით.

რუსეთს თუ უნდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გამო თავის მოსახლეობას პრობლემები შეუქმნას, ეს მისი არჩევანია. უახლოეს 4-5 წელიწადში მოსკოვს ჩვენთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნება მოუწევს. ის თავად მიიღებს მონაწილეობას იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს.

– ვთქვათ და დათანხმდა რუსეთი ტერიტორიების დაბრუნებას. ოსებთან და აფხაზებთან როგორ დავალაგებთ ურთიერთობას?

– რა ვთქვათ, დამიჯერეთ, რუსეთს ამის გაკეთება აუცილებლად მოუწევს, აფხაზებთან და ოსებთან დიალოგი კი პრობლემა არ იქნება.

– რატომ გგონიათ, რომ არ იქნება პრობლემა?

– მიზეზი ძალიან მარტივია, ყველა პრობლემა რუსეთის სპეცსამსახურებიდან მოდის.

– ჩვენ შორის დაღვრილ სისხლზე რას იტყვით? კავკასიაში დაღვრილ სისხლზე გადაბიჯება ძნელია.

– ჩვენ ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია, ვლაპარაკობთ. კავკასიის მორალურ ლიდერებთან ამ თემაზე უკვე მოლაპარაკებული ვართ. ღმერთმა ქნას, აქამდე მივიდეს საქმე და დაღვრილ სისხლზეც დავილაპარაკებთ.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მაინც რუსეთმა უნდა გადადგას. მოსკოვმა აფხაზებსა და ოსებს უნდა უთხრას, რომ მისი ზურგით ქართველებთან მენტორული ტონით ლაპარაკს თავი დაანებონ.

– რომ არ უთხრას?

– მოუწევს ამის თქმა. ამას თუ იტყვის, მერე კიდევ შეიძლება გაზპრომის რაღაცა ინტერესის დაკმაყოფილება. წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული პრობლემები შეგვექმნება და ამას ხელისუფლება უნდა აცნობიერებდეს.

გაზპრომს თუ ყველაფერს დავუთმობთ, დასავლეთიდან მორალური და მატერიალური მხარდაჭერა მომენტალურად შეწყდება. მომენტალურად შეწყდება თურქეთიდან პროდუქციის შემოდინება. ამას მოჰყვება ლარის კურსის რყევა და 1 დოლარი უცბად გახდება 30 ლარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2-3 კვირაში ჩვენი ეკონომიკა მთლიანად დაიშლება.

გოკა გაბაშვილმა და გია ვოლსკიმ ერთმანეთს აგინეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ვიღაცამ თუნდაც კედელაშვილის ოფისს, რომელიც ყოფილი ზონდერია, საფანტის თოფი ესროლა. ეს დაუშვებელია. ვისაც არ უნდა გაეკეთებინა, მან სწორედ ჩვენ და ჩვენს ინტერესებს ესროლა, – აღნიშნა ფრაქციის თავკაცმა.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგო რატიანმა კი ხელისუფლება სამოქალაქო ომის სამზადისში დაადანაშაულა და პოლიტიკური მამის წარსულიც გაუხსენა.

– 10 დეკემბერს დედოფლისწყაროში, მაჟორიტარი დეპუტატის ზაზა კედელაშვილის ოფისზე თავდასხმა განხორციელდა. მანამდე „ნაციონალური მოძრაობის“ 63 ოფისზე იყო თავდასხმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამაზე თქვა, რომ გამოხატვის თავისუფლებას დაიცავს. დედოფლისწყაროშიც გამოხატვის თავისუფლებას დაიცავს?

ეს არ უნდა დავუშვათ! როდესაც ქუჩებში სისხლის ნიაღვარზეა საუბარი, ეს ყველაფერი იმ ადამიანს მოჰკითხეთ, ვინც 90-იან წლებში, რუსეთში, სწორედ მაშინ, როცა ქუჩებში სისხლი იღვრებოდა, ფული იშოვა. ბორისს მოჰკითხეთ, როგორ არის იარაღით ვაჭრობა და როგორ შეიძლება, სამოქალაქო ომი გაღვივდეს. რუს ოლიგარქ ბორისს მოჰკითხეთ ეს ყველაფერი! ჩვენ კი ვიცით, როგორ დავამარცხოთ ავტორიტარული რეჟიმები უსისხლოდ და მშვიდობიანი პროტესტით, – განაცხადა რატიანმა.

რატიანის განცხადების ბოლო ნაწილი მეოცნებეებს ცუდად მოხვდათ გულზე. ნუკრი ქანთარიამ თავი ვალდებულად ჩათვალა, რატიანის ოცნებებისთვის ცივი წყალი გადაესხა.

– სერგო, გენაცვალე, იმდენი არაფერი გეტკინოს, ვიდრე თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში და ჩვენ წავალთ ხელისუფლებიდან, – მიმართა ქანთარიამ კოლეგას.

* * *

დედოფლისწყაროს ოფისის აწიოკების გარდა, დეპუტატებმა რუსთავი 2-ის მხარდამჭერებზეც იკამათეს.

რამდენიმე კვირის წინ პარლამენტთან ტელეკომპანიის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. აქციის რამდენიმე წევრმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს. სამართალდამცავებმა ისინი დააპატიმრეს.

ამ საკითხზე საუბრისას განსაკუთრებით ეკა ხერხეულიძე გაწიწმატდა. მან დავით ლორთქიფანიძეს ყეყეჩიც კი უწოდა. ის ისე გაცხარდა, რომ პარლამენტის სპიკერმა სიტყვა გააწყვეტინა. ძველთაგანვე ნათქვამია, ქალმა თუ გაიწია, 9 უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დააკავებსო. უსუფაშვილს კი, მოგეხსენებათ, ამხელა ძალა არა აქვს და ხერხეულიძემაც ბოლომდე გამოთათხა სპიკერის სეხნია.

ამ თემაზე საუბარმა იმდენად მწვავე სახე მიიღო, რომ დეპუტატებმა ერთმანეთზე გაიწიეს. ნაციონალებიდან ყველაზე მწარედ გოკა გაბაშვილი გაიქაჩა, მეოცნებეებიდან კი ვოლსკისა და ლორთქიფანიძეს დასჭირდათ გაკავება.

შელაპარაკება გია ვოლსკსა და გოკა გაბაშვილს შორის სხდომათა დარბაზში დაიწყო და შემდეგ გარეთ გაგრძელდა.

როგორც ჩანს, გოკა გაბაშვილი სერიოზულად არის გაცეცხლებული ერთი კვირის წინ გავრცელებული ჩანაწერის გამო. ამ ჩანაწერში ის საკუთარ ძმას ესაუბრება და თანაპარტიელებს სულ უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს.

შელაპარაკებისას გოკა უცენზუროსიტყვებისმფრქვეველმა გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერები ახსენა და ძალიან უცენზურო სიტყვით შეაფასა ის ფაქტი, რომ საზოგადოება მსგავსი ტიპის ჩანაწერებს ისმენს.

– ყველაფერი ვიცი, ვისაც ასმენინებთ, ატვირთვინებთ და თქვენი ... რომ მაგას ისმენთ და მერე დებთ, – განაცხადა გაბაშვილმა.

ამას გია ვოლსკი როგორ აიტანდა და მან კოლეგას წესიერი ლაპარაკისკენ მოუწოდა.

– შენ ცოტა სიტყვები აკონტროლე და წესიერად ილაპარაკე. შენ ხომ არ გააფრინე, რა ბიჭობა, რა კაცობა, ძველბიჭობ თუ რა გინდა, ვერ გავიგე, – მიმართა გია ვოლსკიმ გაბაშვილს.

ცოტა ხანში კამათში ლორთქიფანიძეც ჩაერია. გაბაშვილის ბაგეებს კიდევ დასცდა უცენზურო სიტყვა. ვალში არც მეორე მხარე დარჩა, ის-ის იყო, ერთმანეთისთვის უნდა დაერტყათ, რომ მანდატურების ტყვეობაში აღმოჩნდნენ და დიდი სანახაობაც ჩაიშალა.

„ამ სკანდალმა შეიძლება შეწყალებები შეამციროს“

გელა ნიკოლაიშვილი: „ამ თემის აგორება ნაციონალების ინტერესებშია“

ნონა ცაბაძე

საკრებულოს დეპუტატის, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის განცხადება კორუფციულ გარიგებებში მაღალი თანამდებობის პირების შესახებ აქტუალობას დღესაც არ კარგავს. უფლებადამცველ გელა ნიკოლაიშვილს არც ალეკო ელისაშვილში ეპარება ეჭვი და არც – ზვიად ქორიძეში, თუმცა უკვირს, აქამდე რატომ არ ითქვა არაფერი.

– ალეკო ელისაშვილმა ჯერ განაცხადა, რომ ვინც მირეკავდა, ჯერ მითხრა, აღებული მაქვს 200 ათასი და მილიონ-ნახევარს ველოდებიო და მერე თქვა, რომ ვიღაცა სხვამ თქვა, იმას აღებული აქვს ამდენიო. ასეა თუ ისე, როდესაც ამაზე იყო ლაპარაკი, ეს არის დანაშაულის შესახებ ინფორმაცია და წერილობით უნდა იქნეს მიწოდებული.

– ელისაშვილი ასახელებს გვარებს, ვისაც ეს ინფორმაცია მიაწოდა. ეს არ იყო საკმარისი?

– ის, ვინც მან დაასახელა: უსუფაშვილი, ხიდაშელი, მთავარი პროკურორი, მისი მოადგილე, პრეზიდენტი და ასე შემდეგ, მათგან შეიძლება ზოგმა დაადასტუროს ეს ინფორმაცია და ზოგმა არ დაადასტუროს. მათი მოვალეობა არ არის ინფორმაციის მიტანა შესაბამის უფლებამოსილ ორგანომდე.

– ვისი მოვალეობაა?

– ეს არის იმისი მოვალეობა, ვინც ეს ინფორმაცია უშუალოდ მიიღო წყაროსგან. ეს თავად ალეკო ელისაშვილს უნდა გაეკეთებინა. შეცდომა დაუშვა, რომ ეს წერილობით არ მიაწოდა სათანადო ორგანოს. შესაძლოა, არც იცოდა, რომ ამის წერილობით დაწერა იყო აუცილებელი, მაგრამ წელიწად-ნახევრის შემდეგ ამის განცხადება სწორი არ არის.

– თქვენ უშვებთ, რომ მათთან დაერეკათ შეწყალების მოთხოვნით?

– გამორიცხული არაფერია. ცუდი ის არის, რომ შეიძლება ყველა ეჭვქვეშ დადგეს და უფრო ცუდი ის არის, რომ ისედაც მცირე მასშტაბით ახორციელებდა პრეზიდენტი შეწყალებას და შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს, გაანახევროს, ვაიმე, ვიღაცამ რაღაცა არ თქვასო.

– ამ პროცესის დისკრედიტაცია მოხდა? საუბრობენ იმაზეც, რომ ეს მავანის ინტერესში შედიოდა და ამისთვის იყვნენ გამოყენებულნი კომისიის თავმჯდომარეები. ამას რამდენად უშვებთ?

– რასაკვირველია, დისკრედიტაცია ხდება. რაც შეეხება ინტერესსა და გამოყენებას, ვარაუდის დონეზე მაგის დაშვება შეიძლება. არ მიყვარს იმაზე ლაპარაკი, რაც ზუსტად არ ვიცი. რადგან მათ ჩვენებები მისცეს პროკურატურას, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორც ვიცი, კონკრეტული გვარებიც დაასახელეს. საჯაროდაც შეიძლებოდა ამ გვარების დასახელება. თუ ამდენი თქვეს, ესეც უნდა ეთქვათ.

– ასევე ეჭვქვეშ დგება პოლიტპატიმართა სიების შედგენის საკითხი. ღიად ადებენ ხელს, რომ ეკა ბესელიამ სერიოზული თანხები აიღო. თქვენც იყავით ამ პროცესში ჩართული და რამდენად გამჭვირვალე იყო ეს ყველაფერი?



– რა თქმა უნდა, მეც ვიყავი ამ პროცესში ჩართული და ძალიან ადვილი გასაგებია ჩემთვის და ყველასთვის ადვილი გასაგები უნდა იყოს, რატომ დაიწყეს ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა ამაზე პედალირება და აქცენტის გაკეთება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათ უნდოდათ, დისკრედიტაცია მოეხდინათ იმ ფაქტის, რომ მათი მმართველობის დროს არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანები და ამ კუთხით წარემართათ პროცესი, რომ ესენი პოლიტპატიმრები კი არ არიან, არამედ ფული გადაიხადეს და ისე მოხვდნენ ამ სიაში.

იქ რეალური უფლებამოსილება არც ეკა ბესელიასა და არც სხვა რომელიმე კონკრეტულ პირს არ ჰქონდა. იმდენი ფილტრი ჰქონდა ამ სიებს გავლილი, რომ ეს წარმოუდგენელია. ბევრი განაწყენებულიც დარჩა, რომ ჩვენ ისინი პოლიტპატიმრებად არ მივიჩნიეთ და ბევრმა გვლანძღა კიდეც ამის გამო.

დეტალურად ხდებოდა თითოეული საქმის განხილვა. მერე კიდევ ახალი ფილტრი გაიარა საპარლამენტო კომიტეტში, მერე მთლიანად პარლამენტში. ასე რომ, იქ მსგავსი ვერაფერი მოხდებოდა.

– ანუ ეს ნაციონალების მიერ აგორებული თემაა?

– დიახ. როდესაც ვინმე ლაპარაკობს ამ თემებზე, ერთი ეს არის, რომ ამ პროცესის დისკრედიტაცია მოახდინოს და ეს ნაციონალური მოძრაობიდან მოდის, ან მეორე – ის, უბრალოდ ჭორებს აყოლილი ადამიანია და არ აინტერესებს რაიმე მტკიცებულება. 3 წელი გავიდა მას შემდეგ და ერთი კონკრეტული ფაქტი იმ 200 კაციდან როგორ შეიძლება არ გახმაურებულიყო და არ გამომჟღავნებულიყო!

– რით დასრულდება ეს სკანდალი?

– სავარაუდოდ, არაფრით დასრულდება, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ იმ კონკრეტულმა პიროვნებებმა ცრუ დასმენისთვის უჩივლონ ელისაშვილსა და ქორიძეს, თუკი ქორიძემაც დაასახელა გვარები. ელისაშვილი კონკრეტულ პირებს სდებს ბრალს.

აქ გამოსავალი ორია – ან ის ხალხი უნდა გამოაცხადონ დამნაშავეებად და დაუმტკიცონ დანაშაული, ხოლო თუკი იმათ ვერ დაუმტკიცეს დანაშაული, მაშინ იმ პიროვნებებს აქვთ უფლება, უჩივლონ ელისაშვილს და აქეთ წაუყენონ ბრალი ცრუ ბრალდებისთვის. აქ მეორე საკითხიც არის.

– რომელი საკითხი?

– თუკი ხიდაშელმა, უსუფაშვილმა და სხვებმა, ვისი გვარებიც დასახელდა, დაადასტურეს, რომ ელისაშვილმა მიაწოდა ეს ინფორმაცია, გამოდის, რომ მათაც დაფარეს დანაშაული.

– თუ ეს ყველაფერი სიმართლესთან ახლოს დგას, გამოდის, რომ შესაძლოა სერიოზული სკანდალი აგორდეს?

– თუ რეალურია და სიმართლეა, რა თქმა უნდა. რომელი მხარეც არ უნდა იყოს დამნაშავე, მან პასუხი უნდა აგოს!

ირაკლი ალასანია: „ჩვენ არ გვაინტერესებს, ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება თუ არა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

როგორ ფიქრობთ, უკვე მეორედ ხალხის გაყოლის რა შანსები ექნება მას?

– დაბრუნდება თუ არა ივანიშვილი პოლიტიკაში, მისი და მისი კოალიციის გადასაწყვეტია. ჩვენ ნეიტრალური დამოკიდებულება გვაქვს. ისინი იხარშებიან საკუთარ თავში – ვინ იქნება პირველი, ვინ იქნება მეორე. ჩვენ ვართ ხალხთან და ხალხის პრობლემებზე ვლაპარაკობთ. ამას გავაგრძელებთ და ნაკლებად გვაინტერესებს, ჩვენი ოპონენტების ბანაკში როგორ დალაგდება ვითარება.

შანსებს რაც შეეხება, საზოგადოებაში დიდი იმედგაცრუებაა. ნიჰილიზმი გამოიწვია სწორედ ივანიშვილის მთავრობის მიერ იმ დაპირებების შეუსრულებლობამ, რომლებიც მან ასე გულუხვად გაიღო. დიდი ნაწილი ჩვენი საერთო პროგრამისა, რომელიც 2012 წელს შევიმუშავეთ, შესრულდებოდა, კომპეტენტური ხალხი რომ ყოფილიყო ეკონომიკურ ბლოკში და რომ ყოფილიყო ვითარება, როდესაც სახელმწიფო თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობის აღების შიში არ ექნებოდათ. ეს შიში აქვთ იმიტომ, რომ არაფორმალური მართვა დამკვიდრდა ქვეყანაში.

– „ქართული ოცნების“ მაშინდელ პროგრამაში იყო უტოპიური დაპირებები, მაგალითად, 5 მილიონი ყველა სოფელს და ა.შ. ასე არ ფიქრობთ?

– არა, მე ვთქვი, რომ ძირითადი ნაწილი შესრულდებოდა. ის ნაწილი, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობდით ძალიან აქტიურად, იგივე სოფლის მეურნეობის რეფორმა, რომელიც დაიწყო დავით კირვალიძემ. იქაც იგივე პრობლემა რომ არ დამდგარიყო და დავით კირვალიძე არ გაეშვათ ამ პროცესიდან, ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი რეფორმა, რომელიც იმ მომენტისთვის აუცილებლად განსახორციელებელი იყო.

ყველა ხელისუფლება უშვებს ერთსა და იმავე შეცდომას – როგორც კი ხალხს მოსწყდება, იმ წუთში ხელისუფლება კარგავს რეალობის განცდას, გადადის შიდა პროცესების რეგულირებაზე. ხალხის მხარდაჭერის გამყარება ერთადერთი გზით შეიძლება – აკეთო ის, რისთვისაც აგირჩია შენმა საზოგადოებამ. როგორც კი ამას მოწყდები, შენი რეიტინგიც, პოლიტიკური ნდობის მაჩვენებელიც, დაბლა მიდის.

– დავით კირვალიძე შეიძლება თქვენს გუნდში ვიხილოთ?

– დათო ძალიან ახლო თანამოაზრეა. თავისუფალი დემოკრატების სოფლის მეურნეობის სტრატეგია, რომელიც შემდგომ „ქართული ოცნების“ სოფლის მეურნეობის კოალიციის სტრატეგიის საფუძველი გახდა, სწორედ დათოსთან ერთად იყო შემუშავებული. ახლა ის დამოუკიდებელი ექსპერტის როლშია, მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, ბუნებრივია... ჩვენ მეგობრები ვართ და გავაგრძელებთ თანამშრომლობას, იმიტომ, რომ ისეთი ხალხი, როგორიც დათოა, ჩვენს ქვეყანას და სოფლის მეურნეობის განვითარებას სჭირდება. სპეკულაციას არ დავიწყებ, მაგრამ თანამშრომლობას აუცილებლად გავაგრძელებთ.

* * *

– ნატოს მინისტერიალიც მიმოვიხილოთ. ბოლო დროს აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსია იმის თაობაზე, ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით ქვეყანას პრიორიტეტად უნდა დაესახა მაპის მიღება თუ მის გარეშე გაწევრიანება. თქვენ მთავრობას ურჩევდით, მხოლოდ მაპზე აპელირება არ მოეხდინა. თუმცა ნატოს მინისტერიალის კომუნიკეში ჩაიწერა, რომ მაპი რჩება აუცილებელ ინსტრუმენტად საქართველოს ალიანსში გაწევრიანების გზაზე. შეცდომა ხომ არ იყო ამ პროცესში ორაზროვნების შემოტანა და დღის წესრიგის არევა? ახლა რა მოლოდინები გაქვთ ვარშავის სამიტთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში, სასიხარულო ცნობაა ის, რომ ნატომ ღია კარის პოლიტიკა შეინარჩუნა. ასეთ ვითარებაში მონტენეგროს მიწვევის დაფიქსირება პირდაპირ ნიშნავს საქართველოსთვის და სხვა დემოკრატიული ქვეყნებისთვის, რომლებსაც ალიანსში გაწევრიანების სურვილი აქვთ, რომ ეს შესაძლებელია. ასევე, ნატომ დააფიქსირა, რომ საქართველოს გაწევრიანება დღის წესრიგში დადგება და ჩვენი და ალიანსის ურთიერთობების მომავალია.

ირაკლი ალასანია თვლის, რომ მაპთან დაკავშირებით შეცდომები იქნა დაშვებული.

– მთელი ამ წლის განმავლობაში ჩვენს პარტნიორებთან ერთად უნდა შეგვექმნა ისეთი გარემო, როდესაც არ გახდებოდა საჭირო მაპის აუცილებლობის დაფიქსირება დეკლარაციაში. ამას კი სჭირდებოდა ერთიანი მიდგომა საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე, თავდაცვის სამინისტროს, სხვა უწყებების და მთავრობის ერთიანი პოზიცია, როცა იყო პირიქით – განსხვავებები გუნდის შიგნით მუდმივად იგრძნობოდა და ამან არაკეთილისმყოფელი გავლენა იქონია შედეგზე.

ამის მიუხედავად, ალასანია მიიჩნევს, რომ დეკლარაცია პოზიტიურია საქართველოსთვის.

– იქ პირდაპირ არის აღნიშნული, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისათვის, რომ სტანდარტები დააკმაყოფილოს. სამხედრო კუთხით კარგად მიდის საქმე. სადაც მოვიკოჭლებთ, ეს არის მედიის თავისუფლება და იუსტიციის სისტემების რეფორმა. სამწუხაროდ, პროკურატურის ხელიდან გაშვებული რეფორმაც ერთი მინუსია ჩვენი პარტნიორების თვალში. მაგრამ მთლიანობაში, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა არის დაფიქსირებული და ამით ქართველი საზოგადოება კმაყოფილი უნდა იყოს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი თვლის, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამ თვისობრივად შეცვალა ჩვენი უსაფრთხოების გარემო.

– 25 წლის განმავლობაში ნაშენები რუსულ-თურქული ურთიერთობები რამდენიმე წამში დამთავრდა რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებით. ჩვენ კიდევ ერთხელ გავიაზრეთ, რამდენად ცვალებად უსაფრთხოების გარემოში ვართ და რამდენად მხოლოდ ერთი ამოსავალი წერტილი უნდა ჰქონდეს საქართველოს – საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების განხორციელება, – აცხადებს ირაკლი ალასანია.

ის ამბობს, რომ ასეთი უსაფრთხოების განხორციელება გადის ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ამაღლების გზაზე, რუსეთის ფედერაციასთან პრაგმატული დიალოგის კიდევ უფრო გამყარების გზაზე და იმ გეგმის, რომელიც ნატოსთან გვაქვს, მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულებაზე.

– გარდა ამისა, ჩვენ გვყავს გერმანია, პარტნიორი, რომელსაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივებზე კონკრეტული მუშაობა შეუძლია. ეს სამკუთხედი – საქართველო-გერმანია-რუსეთი – უნდა არსებობდეს და შეიქმნას ფორმატი, რომელიც ნელ-ნელა დაიწყებს ყველაზე მწავავე პრობლემური საკითხების გადაწყვეტის გზებზე დიალოგს.

თბილისი-ბერლინი-მოსკოვი არის მნიშვნელოვანი ფორმატი, რომელიც ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის და ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, ვგეგმავთ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ავამოქმედოთ ეს სივრცე, – აღნიშნავს ირაკლი ალასანია.

მისი თქმით, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგა მაია ფანჯიკიძემ, როდესაც ის საგარეო მინისტრი იყო.

– სპეციალური, მათ შორის, არაფორმალური შეხვედრებიც განხორციელდა გერმანიასთან ორმხრივ ფორმატში, რომ დაგვეგეგმა ამგვარი შესაძლებლობის გამოყენება. მე როგორც ვიცი, ამ კუთხით მუშაობა გაგრძელებული არ არის, თუმცა ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამას აუცილებლად გავაგრძელებთ, – აცხადებს თავისუფალი დემოკრატების ლიდერი.

– რამდენად არის გერმანია საქართველოსთვის ხელსაყრელი პარტნიორი, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ სწორედ გერმანია იყო მთავარი, რომელმაც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის მაპის მინიჭება დაბლოკა?

– სწორედ ამიტომ, გერმანია ის ქვეყანაა, რომელსაც აქვს შესაბამისი უნარი, როგორც მთავარ წამყვან ძალას ევროპაში და არის პოზიციონირებული სწორად, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში თავის წვლილი შეიტანოს. როდესაც გერმანიაზე ვსაუბრობ, მე ვგულისხმობ ასევე იმას, რომ გერმანია ამ საქმეში მხარდაჭერილი იქნება ევროპის ძირითადი მოთამაშეების მხრიდან.

– ისევ რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის დაძაბვაზე მინდა გკითხოთ. საქართველოს ხელისუფლება თავს არიდებს მკაფიო შეფასების გაკეთებას ამ საკითხზე. პრაგმატულია ასეთი მიდგომა თუ გარკვეულ ეჭვებს აჩენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით?

– რუსეთ-თურქეთის ამ დაპირისპირებაში საქართველოს არავინ სთხოვს, იმაზე მეტი გააკეთოს, ვიდრე შეუძლია. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში შემრიგებლურ როლს ვერ ავიღებთ ჩვენს თავზე. ეს არარეალურია. ჩვენი ამოცანაა და სწორი ამოცანაა, რომ გავიზიაროთ და მხარი დავუჭიროთ თურქეთის უფლებას, საკუთარი ტერიტორია და საჰაერო სივრცე დაიცვას. ის არის ნატოს წევრი ქვეყანა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ეს უფლება მას აქვს და ჩვენ მხარს ვუჭერთ თურქეთის ამ უფლებას.

მეორე მხრივ, ჩვენ არ გვინდა და რეგიონისთვის იქნება დამანგრეველი, რომ დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთსა და თურქეთს შორის. რუსეთი არ არის ჩვენი მეგობარი, თურქეთი არის ჩვენი მეგობარი, მაგრამ ამ შემთხვევაში პრაგმატული ინტერესები გვკარნახობს იმას, რომ რაც შეიძლება დაბალანსდეს და არ მოხდეს პრობლემის ესკალაცია კონფლიქტში, – ამბობს ირაკლი ალასანია.

მისი აზრით, ჩვენი ერთადერთი ამოსავალი წერტილი არის ჩვენი ინტერესები, რომ არ მოხდეს კონფლიქტის გაღრმავება.

– ერთადერთი რაც შეგვიძლია, არის ის, რომ მოვუწოდოთ, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, რომ მოხდეს დიალოგის გზით ამ პრობლემის გადაწყვეტა. როცა აუცილებელია, მხარდაჭერა უნდა გამოვუცხადოთ ჩვენს პარტნიორებს, თურქეთს ამ შემთხვევაში, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კუთხით, იმიტომ, რომ თურქეთი ყოველთვის უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

– ხედავთ კი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხეს?

– არა. ჩემი გამოცდილებითა და საერთაშორისო ურთიერთობებში ჩემი დაკვირვებით შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხე არ არის.

საფრთხე, რომელიც დღეს თვალშისაცემია, არის ტერორიზმი, რადიკალიზაცია. საქართველო ძალიან ახლოს არის ამ პრობლემებთან, გეოგრაფიულადაც და შინაარსობრივადაც, ვინაიდან ჩვენი მოქალაქეები დღეს არცთუ მცირერიცხოვნად არიან წარმოდგენილნი ხალიფატის რიგებში.

ამიტომაც მოვუწოდე ხელისუფლებას, გააორმაგოს კონტრტერორისტული ძალისხმევის კუთხით დაფინანსებაც, აქტიურობებიც, თანამშრომლობა თურქეთთან და სხვა სპეციალურ სტრუქტურებთან, იმიტომ, რომ ეს არ არის სახუმარო საქმე.

ჩვენი უსაფრთხოების სისტემა მზად უნდა იყოს ყველა გამოწვევისთვის და ამ მიმართულებით იმაზე უფრო მეტი უნდა ვაკეთოთ, ვიდრე ვაკეთებთ. მე ვიცნობ ამ სფეროს, თვითონ ვიყავი კონტრტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ვიცი, რომ ბევრად უფრო მეტია დღეს საკეთებელი, ვიდრე ვაკეთებთ.

ინტერპრესნიუსი, ნინო ჩიჩუა

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

აკაკი ცომაია: „ინვესტიციების მოზიდვისთვის მთავრობა არაფერს აკეთებს“

– ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით საქართველოს მთავრობა, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს, – განაცხადა ეკონომისტმა აკაკი ცომაიამ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული იმ მონაცემების კომენტირებისას, რომელთა თანახმადაც, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის მე-3 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 33 %-ით შემცირდა.

აკაკი ცომაია ამბობს, რომ ეს მოსალოდნელი იყო. ეკონომისტი ინვესტიციების შემცირების ბევრ მიზეზს ასახელებს, მათ შორის, გლობალურ ფაქტორებს, რეგიონსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

– ჯერ ერთი, მთლიანად მსოფლიოში საინვესტიციო აქტივობა შემცირებულია, იმ ეკონომიკური და გლობალური კრიზისიდან გამომდინარე, რომელსაც ადგილი აქვს. ამ თვალსაზრისით რეგიონშია კლება ინვესტიციების, მათ შორის, ჩვენს სავაჭრო პარტნიორებთან, როგორებიცაა რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი. ეს უკავშირდება არასტაბილურობას, რომელსაც ამ რეგიონში აქვს ადგილი, ასევე ფასები ნედლეულზე, მათ შორის, ნავთობზე მცირდება, – განაცხადა ცომაიამ.

საქართველოში მაღალია არასტაბილურობის შეგრძნება, მათ შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური რისკები, სავალუტო კურსის 35%-იანი გაუფასურება, რაც ამ მაჩვენებელზე უარყოფითად მოქმედებს და საქართველო თანდათან ინვესტიციურად არამიმზიდველი ქვეყანა ხდება.

ეკონომისტი ინვესტიციების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად ინსტიტუციურ ფაქტორებს, კერძოდ, რეგულაციების გაზრდას ასახელებს და ამ კონტექსტში ანტიდემპინგურ კანონზე, ასევე მიწასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებზე საუბრობს.

– რეგულაციების გაზრდა ბაზარზე შეღწევის ბარიერებს ზრდის და ნეგატიურ გავლენას ახდენს ინვესტიციებზე, – განაცხადა ცომაიამ.

რაც შეეხება ინვესტიციებს ენერგეტიკის სფეროში, აკაკი ცომაიას შეფასებით, ენერგეტიკის სამინისტრო ამ მიმართულებით საერთოდ არ მუშაობს და აღნიშნული სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია.

– ბოლო ტენდენციები – გაზპრომთან ურთიერთობა და სტრატეგიული პარტნიორობა ან ამის მოლოდინი და ინფორმაციის ჩაკეტვა, რომ თითქოს ერთ ინფორმაციას აჟღერებენ, მაგრამ საზოგადოებას ამის არ სჯერა, ბუნებრივია, ეს ენერგოსექტორზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ასევე ის, რომ არ კმაყოფილდება კერძო სუბიექტების მოთხოვნა ტარიფების ზრდასთან მიმართებით, რადგან ადგილი ჰქონდა სავალუტო ბაზარზე კურსის მნიშვნელოვან გაუფასურებას, ენერგეტიკა არამიმზიდველია საქართველოში ამ მიმართულებით, ამიტომ ინვესტიციების ჩადების პროცესი მნიშვნელოვნად შენელდა, – განაცხადა ცომაიამ.

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველოს მთავრობის საქმიანობას აკაკი ცომაია მკვეთრად ნეგატიურად აფასებს.

– ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს. არანაირ მოქმედებას არ ახორციელებს, არ აქვს ერთიანი ხედვა, გუნდური მიდგომა, არ იკვეთება სტრუქტურა, მექანიზმი, მოქმედება იმასთან მიმართებით, რომ რამე ხდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, – განაცხადა ცომაიამ.

მისივე თქმით, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ერთ-ერთი შესაძლებლობაა, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც აინტერესებთ და სურთ ევროპის ბაზარზე გასვლა, ამ სივრცის ასათვისებლად საქართველო გამოიყენონ.

ბიბიენი

პირველი იანვრიდან ფქვილის ეტიკეტირება სავალდებულო იქნება

პირველი იანვრიდან ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი ძალაში შედის.

როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქეთევან ლაფერაშვილმა განმარტა, რეგულაციები, სავარაუდოდ, ფქვილზე ფასის მატებას არ გამოიწვევს.

– ეს არის ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი. ის არეგულირებს ქვეყანაში რბილი, ქონდარა ხორბლის ფქვილის წარმოების, გადამუშავებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს ანუ განვმარტავ, პირველი იანვრიდან შეძენილ ფქვილზე უნდა იყოს ეტიკეტი განთავსებული, სადაც მომხმარებელს შეეძლება იხილოს, რა ფქვილს ყიდულობს, როგორია მისი ხარისხი – არის ექსტრაფქვილი, უმაღლესი ხარისხის, მეორე ხარისხის, პირველი ხარისხის თუ ა.შ. ანუ ყველას თავისი სახელი დაერქმევა, – აღნიშნა ლაფერაშვილმა.

მისი თქმით, არაფერი განსაკუთრებული არ იცვლება და, წესით, ტექნიკური რეგლამენტის შემოღებამ ფასების გაძვირება არ უნდა გამოიწვიოს.

– ის, რაც იყო ბაზარზე, ისევე დარჩება, უბრალოდ, სწორად და მართებულად იქნება რეგულირებული, – აღნიშნა ლაფერაშვილმა.

რაც შეეხება პურის ტექნიკურ რეგლამენტს, ლაფერაშვილი განმარტავს, რომ პროექტი დამუშავების პროცესშია და მისი ინიციატორი ბიზნესოპერატორებისგან შენიშვნებს იღებს.

– ამ შენიშვნებიდან ზოგიერთი გავითვალისწინეთ, ზოგიერთი – ვერა. პურის მწარმოებლებს არ ექნებათ პურის შეფუთვის ან მასზე ეტიკეტის დატანის ვალდებულება, უბრალოდ, როცა საწარმოდან გამოდის პური, მას უნდა მოჰყვებოდეს დოკუმენტი, სადაც პროდუქტის მახასიათებლები იქნება მითითებული, ხოლო პურის მაღაზიები, დახლზე მისი დადების შემდეგ, ვალდებული იქნებიან მიუთითონ, რომელი რა პურია, რას შეიცავს და ა.შ. – აღნიშნა ლაფერაშვილმა.

მისი აზრით, პურის ფასის ზრდას არც აღნიშნული რეგლამენტი გამოიწვევს.

ბიბიენი

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველომ და ჩინეთმა მოლაპარაკებები დაიწყეს

საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოსაწერად მოლაპარაკებები იწყება.

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომელიც სამუშაო ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინურ მხარესთან ურთიერთგანზრახვის მემორანდუმს მოაწერა ხელი, რომლის საფუძველზეც

მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებები გაიმართება.

– მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე მხარე მოწადინებულია, რაც შეიძლება მალე დასრულდეს აღნიშნული მოლაპარაკებები, რათა კერძო სექტორს მიეცეს ბიზნესისა და სავაჭრო ბრუნვის გაზრდის შესაძლებლობა.

ჩვენი ქვეყნისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ჩვენ 800.000.000 ბაზარზე გვაქვს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები, ხოლო ჩინეთთან ხელშეკრულების საბოლოო ხელმოწერის შემდეგ ეს უკვე იქნება სადღაც ორი მილიარდ ორასი მილიონის მოსახლეობაზე წვდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ტრადიციული დარგებიც კიდევ უფრო უკეთესად განვითარდება. ჩვენ გავაკეთეთ ძალიან დიდი აქცენტები ქართულ ღვინოსთან დაკავშირებით, ასევე აგრარულ პროდუქტებთან დაკავშირებით და დარწმუნებულები ვართ, რომ მოლაპარაკებების ბოლოს ქართულ ღვინოს ექნება ძალიან პრეფერენციული რეჟიმი ჩინეთში შემოსვლისთვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიმიტრი ქუმსიშვილის ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია შეხვედრები ჩინეთის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და აბრეშუმის გზის ფონდში.

გარდა ამისა, მინისტრი შეხვედრებს ჩინეთის ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან გამართავს.

ნიუსბრესი

პარლამენტში ბიუჯეტის პროექტს განიხილავენ

დღეს, 11 დეკემბერს, პარლამენტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს განიხილავს და კენჭს უყრის. ბიუჯეტის პროექტს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური წარადგენს. ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მილიარდ 555 მილიონი ლარით განისაზღვრა.

მომავალი წლის ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს 2016 წლის 1 ივლისიდან სახელმწიფო პენსიის 160-დან 180 ლარამდე ზრდას, დამატებით სახსრებს დევნილთა განსახლებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, ასიგნებები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 3 162.0 მილიონ ლარს შეადგენს, რომელიც 92 მილიონი ლარით აღემატება 2016 წლის ბიუჯეტის წინა პროექტით სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 975,2 მილიონი ლარი. აქედან ზოგადი განათლების დასაფინანსებლად 572,9 მილიონი ლარია გამოყოფილი და სკოლის პედაგოგთა ხელფასების მატებას ითვალისწინებს – 2015 წლის სექტემბრიდან საბაზო ხელფასი 305-დან 355 ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2016 წლის აპრილიდან 405 ლარამდე გაიზრდება.

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 670,0 მილიონი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის – 595,0 მილიონი, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის – 100.0 მილიონი ლარი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 321,4 მილიონი ლარი, რომელიც პროექტის წინა ვერსიას 40 მილიონი ლარით აღემატება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 950,0 მილიონი ლარი, საიდანაც საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 526.6 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 95,0 მილიონი ლარი, საიდანაც პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ 20 მილიონი ლარი მოხმარდება.

ამავე პროექტით, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულია 20.0 მილიონი ლარი.

მთავრობის სარეზერვო ფონდი – 50 მილიონით, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა.

მედიანიუსი

საქართველოდან 9.281 ტონა მანდარინია ექსპორტირებული

საქართველოში ნარინჯისფერი რთველი აქტიურ ფაზაში შედის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, დღეის მონაცემებით, ქვეყნიდან ექსპორტირებულია 9.281.67 ტონა სტანდარტული მანდარინი, გადამუშავებულია 1.747.5 ტონა (სულ 11.029.17 ტონა).

სამრეწველო მანდარინის გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავალი 349.500 ლარს შეადგენს.

უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე მანდარინის გადამუშავებას აწარმოებს სამი ქარხანა.

საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში, კომპანიები, რომლებიც 1 კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან 1 კგ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას მიიღებენ.

საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების უზრუნველსაყოფად წელს სეზონზე აჭარასა და გურიაში მანდარინის ჩაბარება შესაძლებელია 40-მდე დამახარისხებელ (შემფუთავ) პავილიონში.

სტანდარტული მანდარინის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი (78,83% – 7387 ტონა), უკრაინა (12,95% – 1202 ტონა), სომხეთი (4,27% – 396 ტონა), აზერბაიჯანი (1,52% – 141 ტონა), ყაზახეთი (1,40% – 130 ტონა), ბელორუსია (0,87% – 81 ტონა), სხვა ქვეყნები (0,16% – 15 ტონა).

2015 წლის 1-ლი ნოემბრიდან ბათუმში შექმნილია ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბი, ფუნქციონირებს ცხელი ხაზი – 2 47 01 01 და ოფიციალური ვებგვერდი www.apma.ge, სადაც ციტრუსის რეალიზების პროცესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება ონლაინ რეჟიმშია შესაძლებელი.

მიმდინარე წელს, საპროგნოზო მონაცემებით, მანდარინის მოსავალი 115.500-მდე ტონა იქნება.

ნიუსბრესი

„პანკისელი ქისტები ხალიფატის ინტერესს იწვევენ“

რას ფიქრობენ რუსი და ამერიკელი ექსპერტები

მარიამ მჭედლიშვილი

სირიაში რუსეთის საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე კრემლთან დაახლოებულ მედიაში გაჩნდა მასალები იმის შესახებ, რომ სირიიდან ტერორისტები სხვაგან გადაინაცვლებდნენ. დასახელებული იყო საქართველო და აზერბაიჯანი. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებობენ რადიკალი ისლამისტები. მათი ნაწილი სირიაში საბრძოლველადაა წასული და მოსალოდნელია ამ მებრძოლების კავკასიაში დაბრუნება.

საქართველოს პანკისის ხეობაზე რუსეთის ექსპერტებმა ახლაც გაამახვილეს ყურადღება.

ალექსანდრ შპუნტის შეფასებით, რუსეთ-სირიის საბრძოლო მოქმედებების შედეგად მალე აღარ იარსებებს ისლამური სახელმწიფო, თუმცა ეს საყოველთაო სიმშვიდეს არ მოასწავებს. ყველაზე სასიხარულო პროგნოზებითაც არ არის მოსალოდნელი, რომ ისლამური სახელმწიფოს მომხრეები და ლიდერები მსოფლიო ტერორისტული რუკიდან გაქრებიან.

რუს ექსპერტს მიაჩნია, რომ ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთის ტერიტორიასა და რუსეთის მოსაზღვრეებს:

– სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში არ მისცემს მებრძოლებს იქ დამკვიდრების საშუალებას. უფრო რთულადაა საქმე საქართველოს მიმართ.

შპუნტი აღნიშნავს, რომ პანკისის ხეობა ჩეჩნეთის ორივე ომის დროს წარმოადგენდა რუსეთთან დაპირისპირებაში ჩართული მებრძოლების საზღვარგარეთულ ბაზას. საქართველოს წინა მმართველები, შევარდნაძეც და სააკაშვილიც, მათ ყველანაირად მიესალმებოდნენ. ჩეჩნეთში სამხედრო და სოციალური ბაზის დაკარგვის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლები პანკისის ხეობაში აღმოჩნდნენ ჩაკეტილი.

– საქართველოს ახალი ხელისუფლება აღფრთოვანებული არ არის სააკაშვილის ასეთი მემკვიდრეობით, მაგრამ საქართველოს ახლანდელი სახელმწიფოებრიობის სისუსტე ხელს შეუშლის ამ შეიარაღებული და უმართავი მასისგან ხეობის გაწმენდას, – ასკვნის ექსპერტი.

რუსეთის წარმომადგენელს მოჰყავს აშშ-ის სამხედრო ანალიტიკოსების ინფორმაცია. მათი მტკიცებით, პანკისის ხეობა დატოვა ასეულობით ახალგაზრდამ, რათა იომოს სირიაში.

ორი მათგანი გავლენიანი საველე მეთაური გახდა – თარხან ბათირაშვილი და მურად მარგოშვილი. აშშ-მ ორივე მათგანი შეიყვანა განსაკუთრებით საშიშ ტერორისტთა სიაში. თუ თარხან ბათირაშვილი ისლამური სახელმწიფოს გავლენიანი პირია, მურად მარგოშვილი ასადის წინააღმდეგ ჩეჩნებთან ერთად იმ დაჯგუფებაში იბრძვის, რომელსაც სირიის თავისუფალ არმიას უწოდებენ.

ამერიკელი და რუსი ანალიტიკოსების აზრით, პანკისელი ქისტები ხალიფატისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ. ამის მიზეზი ისაა, რომ მათ, როგორც ჩეჩნეთის ომების შედეგად ლტოლვილებს, აქვთ ევროპის ქვეყნებში ცხოვრების გამოცდილება.

ექსპერტის აზრით, საქართველოსა და რუსეთისთვის კიდევ უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენენ პანკისის ხეობაში დარჩენილი მებრძოლები. ამერიკელი ექსპერტების ცნობით, პანკისის ხეობის მინიმუმ 25-მა მცხოვრებმა კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით ერთგულების ფიცი დისტანციურად დადო ხალიფატის წინაშე. ისინი მოსიარულე ბომბები არიან, ვინაიდან მზად არიან, ისლამური სახელმწიფოს განკარგულებები შეასრულონ.

მისივე შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება პოლიციურ კონტროლს ახორციელებს პანკისის ხეობაზე, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი: „უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ“

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე გასამართლებულების ახლობლების ბრალდებას „უზომოდ შეურაცხმყოფელად“ მიიჩნევს.



როგორც ბადრი კოჭლამაზაშვილმა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებთან ერთად გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, იგი საგამოძიებო უწყებას მიმართავს, შეისწავლონ აღნიშნული განცხადება, რომლის მიხედვითაც გასამართლებულების ახლობლები მას ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ და, თუკი გამოიკვეთება დანაშაული, დადგეს შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი.

ბადრი კოჭლამაზიშვილი:

– გადაწყვეტილი მაქვს, მივმართო საგამოძიებო ორგანოს სათანადო რეაგირებისთვის. არავისთვის გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ ასეთი უსინდისო და შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელებით, რომელშიც, მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებთან ერთად, სამწუხაროდ, მონაწილეობდა ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი.

მან, ნაცვლად იმისა, რომ კარგად შეესწავლა საქმის მასალები და სამართლებრივი გზებით ეზრუნა კლიენტის ინტერესების დასაცავად, ასეთი ბინძური კამპანიის წარმართვა გადაწყვიტა, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოსამართლეზე ერთგვარი შურისძიება მის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

მისი თქმით, თუკი მიზანმიმართულ ცილისწამებასთან არ გვაქვს საქმე და, თუ ამ დეზინფორმაციის გამავრცელებელი პირები მიზნად არ ისახავენ მოსამართლისა და სასამართლოს დისკრედიტაციას, მაშინ მათ მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა მათ თავისუფლად შეეძლოთ მოსამართლის ქონებრივ დეკლარაციასთან დაკავშირებით.

– მათ შეეძლოთ, ჩემს ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა თავისუფლად.

დეკლარაციაში მითითებულია ჩემ მიერ აღებული კრედიტის ოდენობა, რომელიც ავიღე 2011 წელს და მას მერე წლების განმავლობაში ვფარავ ყოველთვიურად. ასევე დეკლარაციაში მითითებულია ჩემი ყოველწლიური შემოსავლის ოდენობა, რომელიც ბევრად აღემატება ჩემს მიერ წინმსწრებად გადახდილი თანხის ოდენობას.

არავითარი ორი სესხი მე არ მაქვს. მქონდა ერთი სესხი ორჯერ გამოყენებული იპოთეკით, რაც განპირობებული იყო კრედიტის თავდაპირველად დოლარში აღებითა და მოგვიანებით ლარში გადატანით, – განაცხადა ბადრი კოჭლამაზაშვილმა.

მისივე თქმით, მსჯავრდებულების ახლობლების განცხადება ქრთამის აღებასთან დაკავშირებით ლოგიკას არ ექვემდებარება.

ბადრი კოჭლამაზაშვილი:

– საინტერესოა, ვისგან უნდა მიმეღო ქრთამი გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანაში. ალბათ, ან დაზარალებული მხარისგან, ან პროკურატურისგან, მაგრამ მათ თავად გამორიცხეს პროკურატურის წვლილი.

რაც შეეხება დაზარალებულებს, მე შეგახსენებთ, რომ ჩემ მიერ გამოტანილი განაჩენი მათთვის დარბაზის დატოვების საფუძველი გახდა. მათ მიიჩნიეს, რომ ჩემ მიერ გამოტანილი განაჩენი მსჯავრდებულებთან მიმართებით ჰუმანური იყო.

რაც შეეხება მისი ძმის პროკურატურაში მუშაობას, მოსამართლემ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულების ახლობლებს არასწორი ინფორმაცია აქვთ თანამდებობასთან დაკავშირებით.

ბადრი კოჭლამაზაშვილის თქმით, მისი ძმა პროკურატურის სისტემაში 15 წლის განმავლობაში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში არცერთი სამართლებრივი შენიშვნა ამ მიმართულებით მხარეებს არ ჰქონიათ.

ინტერპრესნიუსი

თეა წულუკიანი: „ძალადობისგან ქალების დასაცავად მხოლოდ კარგი კანონები არ კმარა“

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, დღეს ბევრ ქვეყანას, მათ შორის, საქართველოსაც, კარგი კანონები აქვს იმისათვის, რათა ქალთა მიმართ ძალადობა აღკვეთოს, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის და ამ კანონების პრაქტიკული განხორციელება უმნიშვნელოვანესია.

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სტამბოლში გლობალურ კონფერენციაზე განაცხადა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებს ეძღვნება.

იუსტიციის მინისტრი სიტყვით წარდგა კონფერენციის მონაწილეთა წინაშე და კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ და ამ კუთხით საქართველოში გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა, რომელთაც სათავეში იუსტიციის სამინისტრო უდგას.

მინისტრის განცხადებით, სიმბოლურია, რომ ეს შეხვედრა სტამბოლში ტარდება, ქალაქში, სადაც 4 წლის წინ ქალთა უფლებების დასაცავად ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს – სტამბოლის კონვენციას.

– ადამიანის უფლებები, ქალთა უფლებები საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. სწორედ ამჟამად ჩვენ პირველად ვახორციელებთ ადამიანის უფლებათა 7-წლიან სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა. ამას გარდა, საქართველოს უკვე აქვს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა. ამაყი ვარ იმით, რომ სტამბოლის კონვენციას ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან, ბატონ იაგლანდთან ერთად გასულ წელს მოვაწერე ხელი. ჩვენ მალე ამ კონვენციის რატიფიცირებას მოვახდენთ, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ კონვენციის რატიფიცირება; ეს იქნება 20 კანონში ცვლილებათა პაკეტის დამტკიცებაც, რითაც კონვენციასთან შესაბამისობაში მოვიყვანთ ეროვნულ კანონმდებლობას, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, საქართველოს უკვე აქვს კარგი კანონები იმისათვის, რომ ქალთა უფლებები იქნეს სათანადოდ დაცული, თუმცა, ახლა უკვე მთავარი ამ კანონების იმპლემენტაციაა.

კონფერენცია ორგანიზებულია გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის, გაერო-ს მოსახლეობის ფონდისა და თურქეთის მთავრობის მიერ. კონფერენცია თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გახსნა. კონფერენციას მსოფლიოს 50 ქვეყნის 200-ზე მეტი დელეგატი ესწრება.

ნიუსპრესი

თეა წულუკიანი: „ბატონ ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, პროკურატურას მტკიცებულებებიც წარუდგინოს“

– ბატონ ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, პროკურატურას მტკიცებულებებიც წარუდგინოს, თუკი ასეთი გააჩნია. ამ ქვეყანაში კორუფცია ვერ დაბრუნდება, – ასე უპასუხა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თბილისის საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილის ბრალდებას, რომელიც ხელისუფლების მაღალჩინოსნებს პატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებით კორუფციაში ადანაშაულებს.

თეა წულუკიანი:

– გამოძიება უკვე დაწყებულია და კორუფცია ამ ქვეყანაში ვერ დაბრუნდება. თუკი ვინმემ, ვინც არ უნდა იყოს ის, რამე დააშავა ამ სფეროში და კანონი დაარღვია, ეს არის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი.

პროკურატურა ამ თემაზე მუშაობს და, რა თქმა უნდა, ბატონ ელისაშვილს, განცხადებების გარდა, მოუწევს, ალბათ, ყველა ის მტკიცებულება, თუკი ასეთი გააჩნია, პროკურატურას მიაწოდოს, რომ გამოძიება სწორი მიმართულებით წავიდეს.

კითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას პატიმრების შეწყალების ფაქტებთან მიმართებით კორუფციის არსებობასთან დაკავშირებით ინფორმაცია, იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი მედიის საშუალებით მოისმინა.

– იუსტიციის სამინისტრო არასდროს ყოფილა ჩართული ამნისტიის კანონზე მუშაობაში, არც პროექტის შემუშავებასა და არც იმ საქმეების განხილვაში, რომლებიც ამნისტიის კანონის მოქმედების ქვეშ უნდა მოხვედრილიყო, – განაცხადა წულუკიანმა.

მთავარმა პროკურატურამ ორი დღის წინ სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს, გამოძიება დაიწყო. აღნიშნულის საფუძველი შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის განცხადება გახდა, რომლის ინფორმაციითაც, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი მაღალჩინოსანი კონკრეტული პატიმრების შეწყალებით არის დაინტერესებული, რის გამოც ისინი შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში ალეკო ელისაშვილი და შეწყალების კომისიის მოქმედი თავმჯდომარე ზვიად ქორიძე დაკითხეს.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ჯონ ქერი მოსკოვში ჩასვლას აპირებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი მოსკოვში ჩასვლას აპირებს. დაგეგმილია ქერის შეხვედრა თავის რუს კოლეგა ლავროვთან, აგრეთვე პრეზიდენტ პუტინთან.

მოლაპარაკებების ყურადღების ცენტრში ორი ფაქტორი იქნება: სირიაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით დარეგულირება და უკრაინა.

ქერიმ აღნიშნა, რომ ასადის საკითხი რუსეთ-აშშ-ს შორის უთანხმოების უმთავრესი მიზეზია. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ მისი მთავარი მიზანი ამ უთანხმოების შესუსტება ან სულაც მოსპობაა.

– არსებობს რამდენიმე ვარიანტი, რამაც ჩვენსა და რუსებს შორის უთანხმოების შესუსტება უნდა განაპირობოს. ამიტომაც ვაპირებ ჩასვლას მოსკოვში, – განაცხადა ქერიმ.

მოსკოვის შეხვედრის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ქერიმ ჟურნალისტებს მხოლოდ ის უთხრა, რომ შეხვედრა შედგება 18 დეკემბრამდე, როცა ნიუ იორკში რუსეთისა და აშშ-ის ლიდერები ერთმანეთს შეხვდებიან.

ტრამპმა მთელი მსოფლიო გადაიკიდა

ტრამპის სიტყვებმა, მუსლიმანებს აშშ-ში შემოსვლა უნდა ავუკრძალოთო, მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია.

აშშ-ში ტრამპი მხოლოდ პოლიტიკოსებმა არ გააკრიტიკეს. ლეგენდარულმა მოკრივემ, 72 წლის მუჰამედ ალიმ განაცხადა:

– ასეთი გამოთქმები ჰუმანიზმის ყველა პრინციპს ეწინააღმდეგება!

ინგლისში 250.000-მა მოქალაქემ ხელი მოაწერა პეტიციას, სადაც მოითხოვენ, რომ ტრამპს ბრიტანეთში შესვლა აუკრძალონ. ანალოგიური რამ მოხდა ისრაელში, ირანში და ა.შ.

თავად ტრამპი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ ვეებერთელა მანქანა მუშაობს და რეიტინგს ხელოვნურად უგდებენ. ტრამპმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკური პარტია, რომლის წევრიც ის არის, მას პროვოკაციებისგან არ იცავს.

– თუ ასე გაგრძელდა, პარტიიდან გავალ და კენჭს ვიყრი, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი! – თქვა ტრამპმა.

როგოზინი: „ბანდერას სმერშით ვუპასუხებთ“

რუსეთის ვიცეპრემიერმა როგოზინმა აღშფოთება გამოთქვა უკრაინული ახალი სამხედრო თვითმფრინავის გამოშვების გამო, რომლისთვისაც სტეპან ბანდერას სახელის დარქმევას აპირებენ.

ონლაინ რეჟიმში სათანადო გამოკითხვა უკვე ჩატარდა. უკრაინელთა უმრავლესობა თანახმაა, ახალ თვითმფრინავს ბანდერას სახელი ეწოდოს.

როგოზინმა პასუხად აღნიშნა, რომ მალე შეიქმნება ახალი რუსული სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც სმერშს (სიკვდილი ჯაშუშებს) დაარქმევენ.

– ეს იქნება ჩვენი პასუხი ბანდერაზე, – ამბობს როგოზინი.

ლეილა იუნუსი შინაპატიმრობაში გადაიყვანეს

აზერბაიჯანელი უფლებადამცველი ლეილა იუნუსი შინაპატიმრობაში გადაიყვანეს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა ამის გამო კმაყოფილება გამოთქვა.

– ეს ჰუმანური აქტია. მოვუწოდებ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მომავალშიც ჰუმანიზმის პრინციპებით იხელმძღვანელოს! – თქვა შტაინმაიერმა.

კიევში რუსული დივერსიული ჯგუფი გაანადგურეს

უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა კიევში რუსული სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფი გაანადგურეს.

– ოპერაციის დროს დაიღუპა სპეცრაზმ „ალფას“ ერთი წევრი, – იტყობინება სააგენტო „უნიანი“.

დაკავებულნი არიან რუსეთის 3 მოქალაქე და 3 უკრაინელი. აღმოჩენილია იარაღის მთელი არსენალი.

ობამა ისრაელის პრეზიდენტს შეხვდა

ბარაქ ობამა ისრაელის პრეზიდენტ ბელს შეხვდა. თეთრ სახლში მათ ჰაბუკის დღესასწაული ერთად აღნიშნეს. ობამამ განაცხადა, რომ აშშ-ისრაელის ურთიერთობები კვლავინდებურად მჭიდროა.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მას სურს, ისრაელსა და პალესტინელებს შორის დაძაბულობის შემცირებას ხელი შეუწყოს.

რუსეთში დოჟდს უტევენ

რუსეთში გრძელდება ზეწოლა დამოუკიდებელ ტელეკომპანია დოჟდზე, რომლის საქმიანობას პროკურატურა სწავლობს. ახლა ამას საგადასახადოც დაერთო.

დოიჩე ველეს ინფორმაციით, დოჟდის ტოტალური შემოწმების მიზეზი გახდა ერთი სიუჟეტი, რომელიც ტელეკომპანიის ეთერით გადაიცა. მასში მოთხრობილი იყო რუსეთის გენერალურ პროკურორ იური ჩაიკას შვილების ბიზნესის შესახებ.

– ამის შემდეგ დოჟდზე ტოტალური ზეწოლა დაიწყო, – იტყობინება დოიჩე ველე.

კენიის ნაკრძალში ლომები მოწამლეს

კენიის ნაკრძალში, მასაი-მარაში, უცნობმა პირებმა რვა ლომი მოწამლეს, რომლებიც ლომებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის „დიდი კატის დღიურის“ გმირები არიან. ერთ-ერთი მოწამლული 17 წლის მდედრი, სახელად ბიბი დაიღუპა. პრაიდის კიდევ სამ წარმომადგენელს ეძებენ. სავარაუდოდ, აღარც ისინი არიან ცოცხლები.

ნაკრძალის დამთვალიერებლებმა და გიდებმა სამშაბათ დილას შენიშნეს, რომ ლომები ავად იყვნენ. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს ქალაქ ნაროკის ხელისუფლების წარმომადგენლებს, კენიის ველური ბუნების დაცვის სამსახურსა და ასევე საქველმოქმედო ორგანიზაციას. ადგილზე მისულმა ვეტერინარებმა დააფიქსირეს, რომ რვა მოზრდილი ლომი გაჭირვებით გადაადგილდებოდა, ეცემოდნენ და სუნთქვის პრობლემები ჰქონდათ. სპეციალისტების აზრით, ლომების ავადმყოფობის მიზეზი პესტიციდი კარბოფურანი გახდა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამი ეჭვმიტანილი დაკავებული. მათ დიდი ჯარიმა ან სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ იმ ცხოველების მოკვლის მცდელობისთვის, რომლებიც გადაშენების პირას იმყოფებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სან ბერნარდინოს საქმეში რუსული კვალი იკვეთება

გრძელდება სან ბერნარდინოში მომხდარი ტერაქტის გამოძიება.

გფბ გავიდა ვინმე ენრიკე მარკესზე, რომელიც ტერორისტ ცოლ-ქმარს იარაღის შეძენაში ეხმარებოდა. აღმოჩნდა, რომ მარკესი რუს ემიგრანტზე, ვინმე მარია ჩერნიხზეა დაქორწინებული, ჩერნიხის და კი ერთ-ერთი ტერორისტის, ფარუკის, ძმის ცოლია.

ჯერჯერობით დაუდგენელია, ჰქონდათ თუ არა დებს კავშირი რუსეთის სპეცსამსახურებთან ან როგორი იყო მათი როლი ტერაქტში, თუმცა რუსული კვალი გარკვეულწილად უკვე გამოიკვეთა.

კიმ ჩენ ირი: „ჩვენ წყალბადის ბომბი გვაქვს“

ჩრდილოეთი კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას წყალბადის ბომბი აქვს.

– ჩვენ ჩვენს სუვერენიტეტს დავიცავთ. ყველა, ვინც დემოკრატიის ექსპორტს შეეცდება, საკადრის პასუხს მიიღებს! – აცხადებს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.

ლამარა თოდუა:

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

გიორგი ლორია: „გრანდებთან თამაში მიყვარს“

საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლორია რუსული სამარის კრილია სოვეტოვის ღირსებას იცავს. თავიდან ჩვენებური სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობას მალე გაუშინაურდა და რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩიც ჩაატარა. ლორია ტურის სიმბოლურშიც მოხვდა.

რუსულ მედიაში ქართველ მეკარესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელიც ძალიან საინტერესოა.

– როგორ მოხვდი ფეხბურთში?

– ბავშვობაში ხშირად მიწევდა საფეხბურთო სკოლა ავაზასთან გავლა. ძალიან მომწონდა, როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს ბავშვები და 8 წლის ასაკში მამას სპორტულ სკოლაში წაყვანა ვთხოვე. მას შემდეგ ავაზაში 9 წელი გავატარე. პირველ შეკრებაზე მწვრთნელმა მითხრა, რომ კარში უნდა ჩავმდგარიყავი. 90-იანი წლები იყო, კარებს ქვებით ვაკეთებდით და ასე ვარჩევდით საზღვრებს.

პირველი ბურთი ფეხებშუა გამივიდა. არც კი ვიცოდი, რა უნდა მექნა. შემდეგ მარჯვენა მცველად თამაში ვცადე, გოლიც კი გავიტანე, მაგრამ ეს პოზიცია ბევრ სირბილს მოითხოვდა, ამიტომ კარში დავბრუნდი.

– ავაზის სკოლა 17 წლის ასაკში დაამთავრე. რა მოხდა მერე?

– დაბალი ვიყავი, ამიტომ დიდ ყურადღებას არ მაქცევდნენ. ჩემში პერსპექტივასაც ვერ ხედავდნენ. სკოლის შემდეგ ყველა გუნდებში გადაანაწილეს, მე კი არავის გავხსენებივარ.

ავაზის მწვრთნელმა უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ვიტ ჯორჯიის მეორე გუნდში წამიყვანა. რამდენიმე თამაში ჩავატარე და ზაფხულიც დადგა. სახლში წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ მწვრთნელებმა მთხოვეს, რამდენიმე თამაში კიდევ ჩამეტარებინა, რადგან მეკარეები არ ჰყავდათ.

ერთ მომენტში გავიფიქრე, თავი ხომ არ დამენებებინა ფეხბურთისთვის, მაინც არავის მოვწონდი, მაგრამ საბოლოოდ დავთანხმდი. აღმოჩნდა, რომ ეს მატჩები თბილისის დინამოში მოსახვედრად შესარჩევი თამაშები იყო, მე კი არაფერი ვიცოდი. სამი თამაშის შემდეგ კონტრაქტი შემომთავაზეს. ამის შემდეგ ფეხბურთზეც დავფიქრდი.

პირველი ხელფასი საკმაოდ მცირე იყო და მეგობრებში დავხარჯე. ხელფასსაც კი ვერ ვუწოდებ ამას, სტიპენდია იყო. აკადემიის შემდეგ კი დინამოს მეორე და პირველ გუნდში საერთო ჯამში 7-8 წელი გავატარე. დინამო ჩემთვის სახლი და ოჯახია.

– მშობლები ხომ არ იყვნენ წინააღმდეგი, რომ ფეხბურთი გეთამაშა?

– მამაჩემი, ნუგზარ ლორია, კინორეჟისორია, დედა, მარიამი, ტელევიზიაში მუშაობდა, ჩემი და, ნინო კი მსახიობია. ფეხბურთში მამამ მომიყვანა და ჩემი არცერთი ვარჯიში არ გაუცდენია, რომ აღარაფერი ვთქვათ თამაშებზე. შეძლებისდაგვარად, დედაც ესწრებოდა თამაშებს და იღებდა კიდეც.

ეს ყველაფერი ერთად გამოვიარეთ. ფეხბურთის მიტოვება ბევრჯერ მსურდა, ბევრი იმედგაცრუება, ცუდი ხალხი და უსამართლობა იყო, მაგრამ მამა ყოველთვის მხარს მიჭერდა და ის, რომ ფეხბურთელი გავხდი, მისი დამსახურებაა.

– რომელ იმედგაცრუებებზე საუბრობ?

– 20 წლის ასაკში დინამოს მთავარ გუნდში გადამიყვანეს, ბევრ შანსს მაძლევდნენ, მაგრამ ცუდად ვიყენებდი. საბედნიეროდ, იყო ისეთი ხალხი, ვისაც ჩემი სჯეროდა.

თავიდან მწვრთნელი კახა ცხადაძე იყო, რამდენიმე კვირის შემდეგ ანდრეი ჩერნიშოვი მოვიდა. მას ძალიან მოვეწონე, მენდო და ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. ნახევარი წლის შემდეგ მის შემცვლელად კახა კაჭარავა მოვიდა. მან სეზონის დაწყება მანდო. 9 მატჩი ჩავატარე, აქედან 7 საშინლად ვითამაშე, მე-8 ტურის სიმბოლურში მოვხვდი, მე-9 კი კვლავ საშინლად ჩავატარე და ძირითადიდან ამომაგდეს.

ზამთარში სხვა მწვრთნელი მოვიდა – დუშან უჭრინი. შეკრებებზე თავი კარგად წარმოვაჩინე და ძირითადში დამაბრუნეს. რამდენიმე თამაში ჩავატარე, ისიც ცუდად და კვლავ სკამზე დამაბრუნეს. შემდეგ გუნდმა ახალი მეკარე შეიძინა და 2 წლის მანძილზე გუნდის თამაშს თვალყური სკამიდან ვადევნე.

2 წელინადში კვლავ მანდეს კარი. თასის ნახევარფინალი იყო და იმდენად კარგად ვითამაშე, რომ ფინალშიც დამაყენეს ძირითადში, სადაც ორი პენალტი მოვიგერიე. ამის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრე და დინამოს მაისურით 200-მდე მატჩი ჩავატარე.

– რას უკავშირდება ეს წარუმატებლობები?

– ამაზე არ მიფიქრია. არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც ადრე იხსნებიან. მე მეორე ტიპს მივეკუთვნები. მაშინ მცირე გამოცდილება მქონდა, მეკარეს კი ის ძალიან სჭირდება.

– ამბობენ, მეკარეები უხეში ხალხიაო. ამ კატეგორიას მიეკუთვნები?

– მე ასე არ ვფიქრობ. მეკარე მოედანზე ყველაზე მშვიდი უნდა იყოს. თავხედობა აუცილებელია, კი. ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ გოლი არ გავიდეს. თუ ფორვარდმა 10 შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანა, ამას ვერავინ შეამჩნევს, მეკარის 1 გაშვებულ გოლზე კი ყველა ილაპარაკებს. არსებობენ ისეთი ტიპის მეკარეები, ვინც ფეხბურთელებს უყვირის. მე არ მიყვარს ჩხუბი, მხოლოდ ვკარნახობ.

– ადის იახოვიჩს მსაჯებთან საუბარი უყვარს. გიწევდა თუ არა მსაჯებთან კამათი და ყვითლის მიღება?

– მსაჯისთვის მხოლოდ მაშინ შემიძლია რამის თქმა, როცა პენალტს ნიშნავს. ისე, უბრალოდ – არასდროს. რისთვის ვედავო, მაინც არ შეიცვლის აზრს. ტყუილად ნერვებს არ მოვიშლი.

– კერპი გყავს?

– ფეხბურთის პირველად 1994 წელს ვუყურე. მაშინ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა. იტალიას ვგულშემატკივრობდი და ძალიან მომეწონა ჯანლუკა პალიუკა. შემდეგ ის ჯერ მილანის ინტერში გადავიდა, მერე – ბოლონიაში. ყველგან ვადევნებდი თვალყურს. ჯანლუიჯი ბუფონი მომწონს ძალიან. ის ჩემთვის მაგალითია.

– საკმაოდ დიდი ხანი ითამაშე საქართველოში, შემდეგ ბერძნულ ოფიში გადახვედი, როგორ მოხდა ეს?

– დინამოდან უცნაურად წავედი. აქტობესთან დავმარცხდით და მეორე დღეს გუნდიდან 12 ფეხბურთელი გაუშვეს. ყველაფრის მიუხედავად, მეგობრულად დავშორდით. დინამო ჩემთვის გუნდზე მეტია. პრეზიდენტ რომან ფიფიასთან დღემდე მაქვს კონტაქტი. სიმართლეს ვიტყვი – დინამოდან წასვლა ყოველთვის მსურდა, მაგრამ, იმ პირობით, თუ უფრო ძლიერ ჩემპიონატში ვითამაშებდი.

– ახალ ჩემპიონატთან შეგუება რთული იყო?

– საბერძნეთის ჩემპიონატი ძლიერია. ისეთი გუნდები თამაშობენ, როგორებიც ოლიმპიაკოსი, აეკი და პანათინაიკოსი არიან, მაგრამ მე ისეთ გუნდში მოვხვდი, სადაც ფინანსური პრობლემები იყო. სამაგიეროდ, გუნდს ჯენარო გატუზო წვრთნიდა, მეკარეებს კი – გარტანო პეტრელი, რომელიც ბუფონთან და დე სანკტისთან მუშაობდა.

მან ბევრი რამ მასწავლა. ჩემი დღევანდელი თამაში მისი დიდი დამსახურებაა. საბერძნეთში ადაპტაციის გავლა მარტივი გამოდგა. კუნძულ კრიტზე ვცხოვრობდი, იქ კი ყოველთვის მზე ანათებს. გუნდში მოსვლისთანავე თამაში დავიწყე და გულშემატკივარმა შემიყვარა. ერთ წელიწადში საუკეთესო მეკარე გავხდი. შემდეგ აეკიდან, პაოკიდან და ოლიმპიაკოსიდან შემოთავაზებები მივიღე და ოლიმპიაკოსი ავირჩიე, მაგრამ 3 თვეში კონტრაქტის გაწყვეტა მომიხდა და აქ აღმოვჩნდი.

– აქ მოსვლამდე რა იცოდი რუსულ ფეხბურთზე?

– საბერძნეთთან შედარებით, აქ თამაში ბევრად რთულია. იქ გახსნილი ფეხბურთია, სულ შეტევები, აქ კი პირიქით. რუსეთში ძალიან ცივა: ხან ყინვაა, ხან თოვლი. თამაშის დროს სულ ვმოძრაობ, რომ არ გავიყინო. რუსეთში ძალიან რთული ჩემპიონატია და, თუ აქ თავი გამოიჩინე, ეს დიდი პლუსია.

– კრილიას შემადგენლობაში თავს საკმაოდ დამაჯერებლად გრძნობ, არადა, დიდი ხნის განმავლობაში ევგენი კონიუხოვი ადგილს არავის უთმობდა.

– აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ სათადარიგოთა სკამზე ვყოფილიყავი. თავიდანვე ვთქვი, რომ თამაში მსურს.

– ზურაბ წიკლაურმა თქვა, რომ შენით ჩელსი ინტერესდებოდა.

– იმავე ღამეს, როდესაც კრილიასთან კონტრაქტი გავაფორმე, ჩელსის დირექტორმა დამირეკა, ჟოზე მურინიომ ნახა შენი თამაშები და მოეწონეო. ტიბო კურტუამ ტრავმა მიიღო, მეკარეს ეძებენო. მელოდებოდნენ კიდეც. არც კი დავიჯერე. ავუხსენი სიტუაცია. შემეძლო კრილიაში არც მოვსულიყავი და ახლა ნოტინგემ ფორესტში მეთამაშა. როცა ოლიმპიაკოსთან კონტრაქტი გავწყვიტე, ნოტინგემის ვარიანტი მაშინ გამომიჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ივლისში ინგლისში ახალი კანონი მიიღეს, რომლის თანახმადაც, პრემიერლიგაში სათამაშოდ ეროვნულ ნაკრებში თამაშების გარკვეული რაოდენობა უნდა გქონდეს ჩატარებული და ნაკრები ტოპ-70-ში უნდა შედიოდეს. სწორედ მეორე პირობამ შემიშალა ხელი.

– ეროვნულ ნაკრებში ბევრი მსოფლიო ვარსკვლავის წინააღმდეგ ითამაშე. ვის გამოარჩევდი?

– კრიშტიანო რონალდოს, როცა პორტუგალიას ვეთამაშეთ. როცა პირველი საჯარიმო შეასრულა, ბურთს ვერც კი ვხედავდი. საბედნიეროდ, კარს ასცდა. მეორე დარტყმულზე კი რეაგირება მოვასწარი. კიდევ ქარიმ ბენზემას, ფრანკ რიბერის, ანდრეს ინიესტას გახსენება შემიძლია. ზოგადად, თუ თამაშზე ვიტყვი, ესპანეთთან საუკეთესო იყო. იმ შეხვედრაში ტრავმა მივიღე. ყველაზე სასიამოვნო შეხვედრა კი დინამოში ჩავატარე, როდესაც საქართველოს თასი მოვიგეთ.

– პორტუგალიის წინააღმდეგ 22 წლის ასაკში ითამაშე. ნერვიულობდი, ასეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ რომ გიწევდა თამაში?

– პირიქით, მსგავსი გუნდების წინააღმდეგ ძალიან მსურდა თამაში. გრანდებთან თამაში მიყვარს. ასეთ მატჩებში თავის წარმოჩენაა შესაძლებელი. ძალიან მიყვარს სანახაობრივი თამაში. კრილიაშიც კი, როცა პირველად გამოვედი მოედანზე, ნერვიულობის ნაცვლად ვიღიმოდი.

– 2009 წელს დინამომ საქართველოს თასი მოიგო. იმ მატჩში ორი პენალტი მოიგერიე.

– როცა პენალტს მირტყამენ, გულს ვენდობი. წინა წელს საბერძნეთში 11-დან 5 პენალტი ავიღე.

– რით განსხვავდება საქართველოს, საბერძნეთისა და რუსეთის ჩემპიონატები?

– საბერძნეთში, როგორც ვთქვი, გახსნილი ფეხბურთია, რუსეთში კი ტაქტიკაზე ფიქრობენ და აქცენტს დაცვაზე აკეთებენ. საქართველოშიც დაახლოებით იგივე სქემაა.

– ყველაზე მეტად რომელი ჩემპიონატი მოგწონს?

– ინგლისური. ძალიან მომწონს, როცა გუნდები უტევენ... ჩაწოდებები, დარტყმები...

– სამარაში სტაბილურად რამდენიმე ათასი გულშემატკივარი ესწრება შეხვედრას. გრძნობ მხარდაჭერას?

– ამისულაშვილი მიყვებოდა, რომ სამარაში თამაშებზე გულშემატკივართა საკმაო რაოდენობა დადის, ამიტომ ვიცოდი, რა მელოდა. ოფიში 10.000-იანი სტადიონი ყოველთვის სავსე იყო. ტრიბუნიდან შეძახილებს ყურადღებას არ ვაქცევ.

– როცა ფოტოს ან მაისურს გთხოვენ, როგორ რეაგირებ ამაზე?

– ჩემთან ამაზე ხშირად არ მოდიან. სამარაში მხოლოდ ერთხელ მთხოვეს მაისური, ისიც სამარული ფეხბურთის მუზეუმისთვის, საბერძნეთში კი ბევრი მაისური დავარიგე.

– სამარაში უკვე რამდენიმე თვე გაატარე. რა მოგეწონა ყველაზე მეტად?

– ბაზიდან ჯერ არსად გავსულვარ. ზოგჯერ მეგობრები საჭმელად გამიყოლებენ, ამიტომ, რესტორნებისა და ბაზის გარდა არაფერი მინახავს. ვიცი, რომ სამარაში ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება. რას ვაკეთებ ბაზაზე? როცა ვარჯიშები არ გვაქვს, ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ. ბიჭებთან საერთო ენა მალე გამოვნახე, განსაკუთრებით გაბულოვთან, ჩოჩიევთან, მიროსლავთან და იბრაჰიმთან.

– რითი ერთობი ხოლმე?

– გააჩნია, სად ვიმყოფები. აქ არაფერს ვაკეთებ, მხოლოდ ვვარჯიშობ, მაგრამ ზოგჯერ მეგობრებთან ერთად კინოში წასვლა მიზიდავს. საერთოდ მიყვარს კინო და გადაღებებშიც მიმიღია მონაწილეობა. რამდენიმე წლის წინ ფილმ „ნაბახუსევის“ ქართულ ვარიანტში მივიღე მონაწილეობა. დამირეკეს, განვიხილე და დავთანხმდი.

– საახალწლო არდადეგების გატარებას სად გეგმავ?

– მამაჩემი ისრაელში მკურნალობს. თუ კარგი ანალიზები ექნება და ექიმები სახლში გაუშვებენ, მაშინ ოჯახთან ერთად თბილისში ვიქნები, თუ არა, მაშინ მამასთან ისრაელში ჩავფრინდები და მასთან ვიქნები.

ლადო ბურდული სადისციპლინო კოდექსის გადახედვას ითხოვს

სადისციპლინო კომიტეტმა ეროვნული ჩემპიონატის მე-14 ტურში დინამო-სიონის მატჩის დროს გულშემატკივართა შორის მომხდარი ინციდენტი განიხილა და კლუბები დააჯარიმა. დინამოს 3.000 ლარის გადახდა და ერთი მატჩის უმაყურებლოდ გამართვა დააკისრა, სიონს კი – 5.000 ლარის გადახდა.

სტკ-ის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნია ბოლნისელთა სპორტულ დირექტორ ლადო ბურდულს, რომელიც სადისციპლინო კომიტეტის წესდების გადახედვას ითხოვს, თუმცა მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს.

ლადო ბურდული:

– გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ვაპირებთ, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციას მივმართავ თხოვნით, ძველი აღმასკომის მიერ დამტკიცებული სადისციპლინო კოდექსი გადაიხედოს და მიღებულ იქნეს ისეთი, რომელიც თანაბარ და კანონიერ პირობებში ჩააყენებს ყველა კლუბს. ვთხოვთ სფფ-ის ახალ ხელმძღვანელობას, რომ აღნიშნულ საკითხს მოეკიდოს გულისხმიერად და სადისციპლინო კოდექსის გადახედვა მალე განახორციელოს და მომავალ სხდომაზე, დღის წესრიგში, განსახილველად შეიტანოს ეს საკითხი, ვინაიდან გაუმართავი კოდექსი პრობლემას უქმნის არა მხოლოდ ერთ გუნდს, არამედ – ყველას.

შედეგები

ფეხბურთი
9 დეკემბერი
უეფას ჩემპიონთა ლიგა

რომა-ბატე	0:0
ლევერკუზენი-ბარსელონა	1:1
ოლიმპიაკოსი-არსენალი	0:3
დინამო (ზ)-ბაიერნი	0:2
დინამო (კ) -მაკაბი	1:0
ჩელსი-პორტუ	2:0
გენტი-ზენიტი	2:1
ვალენსია-ლიონი	0:2

კალათბურთი
10 დეკემბერი
ნბა. ჩეგეღაჰული სეზონი

ბოსტონი-ჩიკაგო	105:100
შარლოტი-მაიამი	99:81
ვაშინგტონი-ჰიუსტონი	103:109
დეტროიტი-მემფისი	92:93
ტორონტო-სან ანტონიო	97:94
მილუოკი-კლიპერსი	95:109
მინესოტა-ლეიკერსი	123:122(ოტ)
ფინიქსი-ორლანდო	107:104
იუტა-ნიუ იორკი	106:85
დალასი-ატლანტა	95:98

ზაზა ფაჩულია: 11 ქულა, 17 მოხსნა

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ფაჩულიას მორიგი ორმაგი დუბლი

სამმატჩიანი პაუზის შემდეგ ზაზა ფაჩულია ორმაგი დუბლით შეეწია გუნდს. ქართველმა ცენტრმა ეს თავის ყოფილ გუნდ ატლანტა ჰოუქსთან შეძლო, თუმცა დასანანია, რომ დალასში გამართული დაძაბული დაპირისპირება მავერიკსმა ბოლო წამებზე დათმო.

მატჩი თანაბარი და დაძაბული გამოდგა. უმეტეს დროს მდევრის როლში მყოფმა დალასმა ლიდერობა სწორედ ფაჩულიას ორქულიანის შემდეგ, თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მოიპოვა (86:84), შემდეგ კი 4 ქულით – 93:89 დაწინაურდა. დარჩენილ 3 წუთში დალასელებმა ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და მატჩი 95:98 დათმეს.

ფაჩულია დალასელთაგან საუკეთესო იყო.

ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში 38 წუთი ითამაშა, შეხვედრა 11 ქულით, 17 მოხსნითა და თითო ჩაჭრა-პასით დაასრულა და თავის გუნდში საუკეთესოდ დაასახელეს. ქართველმა ცენტრმა 5-დან 4 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ზაზამ აშკარად დაჩაგრა თავისი ყოფილი გუნდელი ალ ჰორფორდი, რომლის შემცვლელიც იყო ატლანტაში. მართალია, ჰორფორდს ცუდად არ უთამაშია და 14 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, მაგრამ ჩვენებურმა მის ფარზე 7 ბურთი მოხსნა და საერთო მაჩვენებელიც უკეთესი ჰქონდა.

13 მოგებითა და 10 მარცხით დალასი მემფისს კვლავ გაუთანაბრდა და მასთან ერთად დასავლეთ კონფერენციის მე-4 ადგილს იყოფს. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს ვაშინგტონ ვიზარდსთან დალასში ელის.

დაბოლოს, ორმაგი დუბლების რბოლაზეც ვთქვათ.

3-მატჩიანი პაუზით ფაჩულიამ მხოლოდ რასელ ვესტბრუკთან მოზიარე მეორე ადგილი დაკარგა და ახლა 13 ორმაგით მესამეზე იმყოფება. ოკლაჰომელ სუპერვარსკვლავს 14 ორმაგი დუბლი აქვს, ხოლო პირველობას ვერავინ ეცილება ანდრე დრამონდს, რომელიც თავს 19 დაბლ-დაბლით იწონებს.

ბრენდან როჯერსი შეიძლება სუონსიში დაბრუნდეს

უელსურმა გუნდმა სუონსიმ, რომელიც ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს, ცოტა ხნის წინ მთავარი მწვრთნელი გარი მონკი დაითხოვა და მისი შემცვლელი ჯერ არ უპოვია.

სუონსის თავმჯდომარე ჰიუ ჯენკინსმა განაცხადა, რომ მისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო, რადგან მონკს ის დიდ პატივს სცემს, მაგრამ გუნდის მიერ ნაჩვენებმა ცუდმა შედეგებმა სხვა გამოსავალი არ დაუტოვა.

აღსანიშნავია, რომ გარი მონკი ფეხბურთელი იყო და დიდი ხნის განმავლობაში ის სწორედ სუონსიში თამაშობდა. რაც შეეხება ახალ მწვრთნელს ის შეიძლება ბრენდან როჯერსი გახდეს, რომელიც უელსურ გუნდში 2011-12 წლების სეზონში მუშაობდა.

როჯერსი ლივერპულიდან ოქტომბერში წავიდა და მას შემდეგ უგუნდოდ არის. ამიტომ საკმაოდ დიდი შესაძლებლობა არსებობს იმის, რომ ის სუონსიში დაბრუნდეს.

ბენზემა საფრანგეთის ნაკრებიდან დროებით მოკვეთეს

ქარიმ ბენზემას და მატიო ვალბუენას საგა გრძელდება.

როგორც ფრანგული პრესა იუწყება, ბენზემა დროებით საფრანგეთის ნაკრებიდან მოკვეთეს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს არ ითამაშებს ბენზემა საფრანგეთის ნაკრებში.

თითქმის ყველა საფეხბურთო სპეციალისტი დარწმუნებულია იმაში, რომ ბენზემა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, რადგან ის საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

შეგახსენებთ, რომ ბენზემას ვალბუენას შანტაჟის საქმეში თანამონაწილეობა ედება ბრალად. თვითონ ფეხბურთელი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

ნეიმარი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდის

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ნეიმარმა გერმანიაში ლევერკუზენის ბაიერთან თამაშის წინ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რის გამოც ის დეპორტივოსთან შაბათს გასამართ შეხვედრას გამოტოვებს.

გარდა ამისა, ნეიმარი ვერც საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალში დაეხმარება თავის გუნდს.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელი ვარსკვლავი იაპონიაში მაინც გაემგზავრება, რადგან, თუ ბარსელონა ფინალში გავიდა, ნეიმარი შეიძლება მოედანზეც ვიხილოთ. ნახევარფინალურ შეხვედრას ბარსელონა 17 დეკემბერს გამართავს, მისი მეტოქე კი ჯერჯერობით გარკვეული არ არის.



დიეგო კოსტას იკერ კასილიასთან კონფლიქტი მოუვიდა

ლონდონის ჩელსის ფორვარდმა დიეგო კოსტამ უკვე მთელ საფეხბურთო სამყაროს შეაძულა თავი.

მისი არასპორტული საქციელი უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ ამჯერად დიეგომ თავის თავს გადააჭარბა.

ჩელსისა და პორტუს შეხვედრის დროს მან უხეშად ითამაშა ესპანეთის ნაკრებში თავისი თანაგუნდელის იკერ კასილიასის მიმართ, რის შემდეგაც ამ ორ ფეხბურთელს შორის კონფლიქტი წარმოიქმნა. შეხვედრის მთავარმა არბიტრმა კოსტას უხეში თამაშის გამო ყვითელი ბარათიც მისცა.

საბოლოოდ ამ ინციდენტს ჩელსისთვის ხელი არ შეუშლია და ლონდონურმა გუნდმა პორტუ 2:0 დაამარცხა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

ფოთ. ტელ: 599-73-48-21

ასტროპროგნოზი

11 დეკემბრისათვის

ვერძი – დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. სახიფათოა ფიზიკური დატვირთვა და გაუმართლებელი რისკი. შესაძლოა, მეგობრებთან და მეზობლებთან ურთიერთობაში პრობლემები შეგექმნათ. **კურო** – მოსალოდნელია მცირე კონფლიქტი ახლობელთან. ზედმეტი ეჭვიანობა უარყოფით შედეგს გამოიღებს. ეცადეთ, იყოთ მომთმენი და კეთილმოსურნე. **ტყუპები** – დღის დევიზია დათმობა და მიტევება. აუცილებლად შეურიგდით ადამიანებს, რომლებთანაც კონფლიქტი გაქვთ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. **კირჩხიბი** – მზად იყავით ოჯახის ასაკით უფროს წევრებთან ურთიერთობის დაძაბვისათვის. სიტუაციის გამწვავებისას იუმორს მიმართეთ. **ლომი** – ვარსკვლავები არ გწყალობენ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ოჯახის წევრებს მოთმინებითა და გულისხმიერებით მოეპყარით. **ქალწული** – შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – მატყუარა ადამიანი თქვენს გაცურებას ცდილობს. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. **ღრიანკალი** – ეს დღე ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ. ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის წყალობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **მშვილდოსანი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა, რომელიც მოულოდნელ სიხარულს გპირდებათ. იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **თხის რქა** – შემოქმედებითი პოტენციალი მატულობს. ემოციურად დაძაბული დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **მერწყული** – ჩანაფიქრის განხორციელებას იოლად ვერ შეძლებთ. ეს დღე სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. **თევზები** – მიენდეთ გამახვილებულ ინტუიციას. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოს სოფლებში; 2. ღვინის დანალექი; 3. სპირტიანი სასმელი; 5. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 6. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან მომზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. შინაური წვრილფეხა ცხოველი; 16. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

თარაზულად: 1. მარწყვის ერთ-ერთი ჯიში; 4. უწახნაგოდ მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 8. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი იორდანიაში; 13. დედამიწის თანამგზავრი; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. რაიმე საქმეში შეტანილი წილი; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 21. წყალი მყარ მდგომარეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ალბა; 2. ილორი; 3. ოხორი; 5. შამანი; 6. რარიტეტი; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. კიი; 16. ორვილე; 18. სოჭი.

თარაზულად: 1. აფრიკა; 4. ქაშანური; 7. ბორანო; 8. „რუსთავი“; 12. გიენა; 13. აკორდი; 15. ოდეონი; 17. ბაი; 19. ჰემოგლობინი; 20. დიქტი; 21. ფიულკე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯარა; 2. ტორფი; 3. ოპიუმი; 5. პოლკა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ესკადრა; 12. „სურჩინა“; 14. უტზონი; 15. „რაპიდი“; 16. „სტელა“.

თარაზულად: 1. ჯალიტა; 4. აპალაჩი; 7. ყურანი; 9. მირაჟი; 11. „გლობუსი“; 12. საინგილო; 13. ჯაფარა; 17. რატუშა; 18. ციხე; 19. სნოუბორდი; 20. ვილაიეთი.

მირანდა კერმა ჟურნალისთვის გაიხადა

სუპერმოდელმა მირანდა კერმა ჟურნალ ჰარპერ ბაზარის ავსტრალიური ვერსიის გარეკანისთვის გაიხადა. მანეკენზე გამოქვეყნებული მასალის სათაურია „რა დევს“.

32 წლის კერმა ფოტოსესიისთვის მხოლოდ ფრანგული ბრენდის ვარდისფერი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა და სვაროვსკის, სარა ენდ სებასტიანისა და ელინკას სამკაულები მოირგო. სუპერმოდელი ფოტოკამერების წინ ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი სასტუმროს პენტჰაუზის აივანზე პოზირებდა.

ჟურნალის ახალი ნომერი, რომლის გარეკანი მირანდა კერის სურათით იქნება დამშვენებული, 2016 წლის იანვარში გამოვა.

უელსელმა სახლი 40 ათასი დოლარის სათამაშოებით მორთო

უელსის ქალაქ სუონსის მცხოვრებმა სილვია პოუპმა საკუთარი სახლის სასტუმრო ოთახის ჭერი 2530 საშობაო სათამაშოთი დაამშვენა, რომელთა საერთო ღირებულება 41 ათას დოლარს შეადგენს. მის დეკორირებას სამი თვე დასჭირდა, ამიტომ ქალმა სათამაშოების ჩამოკიდება ჯერ კიდევ სექტემბერში დაიწყო.

73 წლის უელსელმა ქალბატონმა თავისი კოლექციის შეგროვება 1999 წელს დაიწყო. მას შეუძლია, თავი მოიწონოს იშვიათი სათამაშოებით, ისეთებით, როგორებიცაა, მაგალითად, წითელი ლონდონური ავტობუსი, ნიუიორკული ტაქსი, თვითმფრინავები, ძველმოდური ტელეფონები, შვეულმფრენები და კოკა-კოლას ქილები.

– მე მათ ვეთაყვანები (სათამაშოებს). ყველა იღიმება, როდესაც ხედავენ, თუ რამდენია ჩემი სახლის ჭერზე ჩამოკიდებული. ჩემი შვილიშვილები მათით ერთობიან და ჩვენ შესანიშნავად ვატარებთ დროს, – განაცხადა პოუპმა.

ბრიტანელი ქალბატონი ყოველ წელს 200 დოლარამდე თანხას ხარჯავს ახალი სათამაშოების შესაძენად.

– მომავალ კვირაში რამდენიმე დღით პრაღაში გავფრინდები, საშობაო ბაზარს მოვინახულებ და, იმედი მაქვს, იქიდან ბევრი ახალი სათამაშოს ჩამოტანას შევძლებ. როდესაც ნიუ იორკში ვიყავი, კიდევ ერთი ჩანთის ყიდვა დამჭირდა იმისთვის, რათა იქ შეძენილი სათამაშოები წამომეღო. შესანიშნავი იყო, – დაამატა უელსელმა ქალბატონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ოთარ იოსელიანი: „ყველამ ის აკეთოს, რაც მართლა იცის!“



საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი, ოთარ იოსელიანი, „ქართულ ფილმთან“ დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს სპეციალური განცხადებით ეხმაურება:

– რამდენადაც ვიცი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორად რეჟისორი გიორგი შენგელაია დაინიშნა, თუმცა, ერთი კვირაც არ გასულა, რომ ეს გადაწყვეტილება უკან წაიღეს და ბატონი გიორგი თანამდებობიდან მოხსნეს.

ვფიქრობ, მას შეურაცხყოფა მიაყენეს და ვერ ვიგებ, ასეთი მოქცევა რა წესია.

აქ მთავარი ერთი რამ არის: ისეთი დონის შემოქმედი, როგორიც გიორგი შენგელაიაა, ამ დროში ძნელად თუ მოიძებნება.

სჯობს, ყველამ ის აკეთოს, რაც მართლა იცის და შეუძლია, მით უმეტეს, რომ მან საკუთარ თავზე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი წარმოების მოვლა აიღო.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ აქ ძალიან მძიმე პრობლემებია. სინამდვილეში ცხედრის გაცოცხლებაზეა საუბარი.

ქართველი მოდელი ფლეიბოისთვის გაშიშვლდა

– ფლეიბოის ბოლო ნომრის მთავარი გმირი 26 წლის კრისტია, რომელიც დაიბადა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, – ასეთი სათაურებით თითქმის ყველა სახის პრესა წერს კრისტის შესახებ, რომელიც ფლეიბოის ბოლო შიშველი მოდელია.

ფლეიბოიმ იმიჯი შეიცვალა.

– 21-ე საუკუნეში თავისუფლად შეიძლება მოიპოვო პორნომასალა უფასოდ. ფლეიბოიმ თავისი ფუნქცია დაკარგა, – ეს სიტყვები ჟურნალის რედაქტორს ეკუთვნის.

კლასიკური ფლეიბოის ბოლო ქალი წარმოშობით ქართველი კრისტი გარეტია. გარეტი კრისტის ნამდვილი გვარი არ არის. კრისტი ნექსტ მოდელსის მოდელია.

– ფლეიბოის კლასიკური ამერიკული ისტორია აქვს და მსურს, მისი ნაწილი ვიყო. აქ არსებული ცხოვრების სტილი, სადაც საკუთარი თავის გამოხატვა თავისუფლად შეგიძლია, ჩემი ცხოვრების ტიპია. ამაყი ვარ ქალით, რომელიც მე ვარ და ყოველთვის ვოცნებობდი ამაზე საუბარზე, – განაცხადა ქართველმა მოდელმა.

კოლორადოელმა უსახლკარომ 500 ათასი დოლარი მოიგო



ლკაროთა ადგილობრივი თავშესაფრის წარმომადგენელმა ჯერემი კოვალისმა.

კოლორადოს შტატში უსახლკარო მაიკლ ინგფორსმა ლატარიაში 500 ათასი დოლარი მოიგო. მამაკაცმა 4 დეკემბერს 10 დოლარის ღირებულების ბილეთი ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე შეიძინა.

ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელ გები გარსიას თქმით, ინგფორსი ხშირად მონაწილეობდა გათამაშებაში, თუმცა ჩვეულებრივ ერთ ან ორ დოლარს იგებდა.

– მას ვკითხე, თუ რას აპირებდა ამის შემდეგ, რაზეც მიპასუხა, რომ უნდა, ფეხზე წამოდგეს და თავის ქალიშვილთან, რომელიც უკვე 20 წელია, არ უნახავს, ურთიერთობა გაანახლოს, – განაცხადა უსახლკარო ადგილობრივი თავშესაფრის წარმომადგენელმა ჯერემი კოვალისმა.

მაიკლ ინგფორსს საკუთარი საცხოვრებელი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არ ჰქონია. მან დაკარგა საკუთარი ბიზნესი, გაშორდა მეუღლეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ალკოჰოლზე დამოკიდებულების დაძლევა მოახერხა.

ალიგატორმა მძარცველი შეჭამა

ფლორიდაში მამაკაცი, რომელიც სახლების ძარცვაში იყო ეჭვმიტანილი, სავარაუდოდ, ტბაში ალიგატორმა მოკლა.

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს დასახლება ბერფუტბეიდან პოლიციაში შევიდა შეტყობინება, რომ ორი საეჭვო პირი მათი სახლების მახლობლად დადიოდა. პოლიციელებმა მათი მაშინვე დაკავება ვერ შეძლეს. სავარაუდო მძარცველებს შერიფის თანაშემწე მისდევდა ძაღლების დახმარებით. დამნაშავეთა ძებნის ღონისძიებაში ასევე ჩართული იყო შვეულმფრენი.

სამწუხაროდ, იმ ღამით ვერავის დაკავება ვერ მოხერხდა. ამავე დროს, ამ მოვლენებიდან მცირე ხანში დაიკარგა პალმ-ბეის მცხოვრები, 22 წლის მეთიუ რიგინსი. ოჯახმა არაფერი იცოდა მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ათი დღის შემდეგ ტბაში აღმოჩენილ იქნა მისი მოტივტივე ცხედარი, რომელსაც, ადგილობრივი შერიფის თქმით, „აგრესიული ალიგატორი“ დარაჯობდა.

გვამის გაკვეთამ დაადასტურა, რომ რიგინსი რეპტილიის თავდასხმის შედეგად დაიღუპა. 3,4 მეტრი სიგრძის ალიგატორის კუჭში ადამიანის სხეულის ფრაგმენტები იქნა აღმოჩენილი.

შერიფის თქმით, რიგინსმა თავისი მეგობარი გოგონა გააფრთხილა, რომ დასახლების მობინადრეთა სახლების გასაქურდად მიდიოდა, შემდეგ კი მოასწრო, მისთვის ეცნობებინა, რომ მას კვალში შერიფის თანაშემწე მიჰყვებოდა. შერიფის აზრით, რიგინსმა მდევრისგან თავის დაღწევა ტბაში დამალვით ცადა და სწორედ მაშინ იქცა ალიგატორის მსხვერპლად.

გიგი დედალამაზიშვილი მამა გახდა

ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტი გიგი დედალამაზიშვილი მამა გახდა. მას და მის უკრაინელ მეუღლე მარინა კარპის გოგონა შეეძინათ. დედაშვილი თავს კარგად გრძნობს.

ეს სასიხარულო ინფორმაცია სოციალურ ქსელში გიგის დამ, ნინი დედალამაზიშვილმა გაავრცელა:

– დღევანდელი დილა ახალი სიცოცხლის დაბადებით დაიწყო! ლიზა!

გიგი და მარინა 5 წლის წინ დაქორწინდნენ. მარინა პროფესიით ფოტოგრაფია და მომღერალს უკრაინაში გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე შეხვდა. წყვილმა პირველი შვილის სქესი მის დაბადებამდე გაიგო. უკრაინაში მისულ მარინას ექოსკოპიიდან ტორტი გამოატანეს, რომლის შიგთავსი ვარდისფერი კრემით იყო მორთული, რაც გოგონას დაბადების მაუწყებელი გახლდათ.

პატარა ლიზას დიდი სიხარულით შეხვდნენ მშობლები. ამ დიდი საჩუქრით უზომოდ ბედნიერია ბებია, გიგის დედა, ციცი ფალავანდიშვილი:

– ყველაზე დიდი ბედნიერება! ქვეყანას მოევლინა ლიზი დედალამაზიშვილი! ახლა უკვე ორი პრინცესას ბებია ვარ! გიგი და მარინა, გილოცავთ, დე!

ახალბედა მშობლებმა პატარა ლიზასთან ერთად უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

ოთარ ჭილაძის რომანი სომხურად ითარგმნა

ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი პირველი რომანი, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, სომხურ ენაზე ითარგმნა და წიგნად გამოიცა. პროექტი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა. წიგნი სომხური გამომცემლობის „ანტარესის“ მიერ გამოიცა და მისი მთარგმნელი ანაიდა ბოსტანჯიანია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პიცის სამეცნიერო ხარისხი დაწესდება

პიცერიის ამერიკულმა ქსელმა და მანჩესტერის საქალაქო უნივერსიტეტმა სტუდენტებს პიცის სამეცნიერო ხარისხის მიღება შესთავაზეს. ათას ხუთასამდე მსმენელი ამ საკვების ინგრედიენტების წარმოებასა და მისი მომზადების ეტაპებს ხუთი წლის განმავლობაში შეისწავლიან.

სწავლების პროცესში სტუდენტები შეიტყობენ ყველაფერს პიცაზე და ინდუსტრიაში კარიერის გაკეთებას შეძლებენ. რესტორნების ქსელის წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მინიმალურ ანაზღაურებას მიიღებენ, რომელიც 18-20 წლის ახალგაზრდებისთვის 5,3 ფუნტ სტერლინგს შეადგენს, ხოლო 21-წლიანებისთვის – 6,7 ფუნტს. უცნობია კურსზე სწავლის დაწყების ვადა და მიღების პირობები.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული პიცერია პიცა ჰატი მსოფლიოში პიცის რესტორნების ყველაზე დიდ ქსელს წარმოადგენს. ის 1958 წელს ძმებმა დენ და ფრენკ კარნებმა კანზასის შტატის ქალაქ უიჩიტაში დააარსეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი, 11 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.30 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენჯო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30, 14.05** მხ/ფ "**კაპიტანი ნიუმენი მედიცინის დოქტორი**" (ტ.კერტისი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00, 02.30** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" – ნინო ზაუტაშვილთან ერთად **23.30** "კომუნიკატორი" **00.40** მხ/ფ "**დაბინდული სარა მარშალი**" (მ.კუნისი)

08.00, 10.10, 21.00 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**ოლივერ ტვისტი**" **1" 2** სერ. **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **10** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ "**საუკეთესო მსროლელი**" (კ.მაკგილისი) **01.25** მხ/ფ "**ლუინ დევისის შიგნით**" (ქ.მალიგანი) **03.15** მხ/ფ "**ფანტომასი სკოტლენდ იარდის წინააღმდეგ**" (ჟ.მარე)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "უკვდავი სულილია ჭავჭავაძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი-"ნეროზი" **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** მსოფლიო ხალხთა ზღაპრები **15.40** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე-"პროფესიები" **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი "წულრუღაშენის მონასტერი" **17.00** ყველაფერი ქორეოგრაფიაზე "ფრიდონ სულაბერიძე" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-ოდოია **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" II ფ. **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **00.35** დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსელი" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.30** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "თეკუნას კულინარიუმი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მუნოსავი-1**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. გაწყალებული ღვინო; 2. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 3. სპარსელი პოეტი; 5. ფულის ერთეული პაკისტანში; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. ადამიანის დასნეულება ცხოველური პარაზიტებით; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 16. კომბინაცია პოკერში.

თარაზულად: 1. ქალაქი, ტბა, კანტონი შვეიცარიაში; 4. არაბეთის ზღვისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი სრუტე; 7. კომპიუტერული თაღლითი; 9. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 11. უმცროსი მეთაური გემზე, კაპიტნის თანაშემწე; 12. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3947	ევრო — 2.6174
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6088	100 რუსული რუბლი — 3.4523

ამინდის პროგნოზი 11 დეკემბრისთვის

გიორგი ლორია:

„გრანდებთან თამაში მიყვარს“

მასალა იხ. მე-9 გვერდზე

წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი
50 ლარი 90-ის ნაცვლად

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

ШЕИДЗИНЕТ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
45 ლარი 95-ის ნაცვლად

MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გაძლიერება 50ჯბ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია **Stop&Shop**
დარეკეთ წინასწარ! ☎: **2-182-186.**
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

35 ლარად 65 ლარის უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები

გერმანული წარმოების ელექტროლეიბი.... ეკონომიურია და რაც მთავარია აბსოლუტურად უსაფრთხო.... ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
1) ტემპერატურის მარეგულირებელი 2 სიჩქარე;
2) ზომა 120X160.

მზის სანათი

შეთავაზების აღწერილობა:
– მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;
– აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;
– აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობილური, აიპოდი და სხვა.

ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის

„ევროკაპიტალინვესტისგან“

ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-meil: infoeci777@gmail.com

გვინეტ პელტროუს მაღაზია გაძარცვეს

ნიუ იორკის პოლიცია ეძებს სამ მამაკაცს, რომლებმაც ამერიკელი მსახიობის გვინეტ პელტროუს კუთვნილი მაღაზია გაძარცვეს. ქურდებმა 173 ათასი დოლარის საიუველირო ნაკეთობები და საათები წაიღეს.

დანაშაული შაბათს იქნა ჩადენილი. პოლიციელთა თქმით, ერთ-ერთმა დამნაშავემ „რაღაც ობიექტი“ გამოიყენა კარადის გასაღებად, რომელშიც სამკაულები და საათები ინახებოდა. ვერც თანამშრომლებმა და ვერ მყიდველებმა ვერ შენიშნეს, რომ მამაკაცი ნივთებს იპარავდა.

მაღაზიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მყიდველები და თანამშრომლები არ დაზარალებულან.

მოპარულ ნივთებს შორისაა ფირმა ბულგარის საგამოფენო სამაჯური, რომლის ღირებულება 106 ათას დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღაზია, რომელშიც წარმოდგენილია ჩასაცმელები, ფეხსაცმელები და აქსესუარები, მიმდინარე წლის 23 ნოემბერს გაიხსნა და გახსნას, რა თქმა უნდა, გვინეტ პელტროუ ესწრებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

რუსეთის ხელისუფლების ანტიკრიზისული გეგმის ძირითადი პუნქტები:
– არაყზე ფასის დაწევა.
– დედის გინების დაშვება.

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ათლარიანს აწვდის და ეუბნება:
– რას მირჩევთ?
ოფიციანტმა ფული მშვიდად გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო ყურში ჩასჩურჩულა:
– წადით აქედან, წადით!

●●●

ავტობუსში მყოფი მგზავრი ტელეფონზე რეკავს:
– სულელი, აიღე ტელეფონი, შე შობელძაღლო, უტვინო, მე შენი...
– გამარჯობა საყვარელო... როგორ მომენატრე...

●●●

ფსიქიატრთან მამაკაცი შევიდა, დივანზე დაჯდა და ხმას არ იღებს. ექიმი მოთმინებით ელოდება. ერთი საათის შემდეგ კაცი წამოდგა 50 ლარიანი დაუტოვა, დაემშვიდობა და წავიდა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. მესამე, მეოთხე დღესაც. ბოლოს ექიმმა ვეღარ მოითმინა და მეხუთე დღეს ეკითხება:
– იქნებ მითხრათ, რა გაწუხებთ?
– ცოლი, ექიმო, ცოლი.
– ???
– ერთი წამითაც არ აჩერებს ენას, სულ ლაქლაქებს და ლაქლაქებს, აქ, თქვენთან კი ისეთი სიწყნარეა...

საახალწლო აქცია კერძო სახლების მშენებლობაზე დეველოპერული

სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“ 1მ²-300$ ~~350$~~

(სრული თეთრი კარკასი) + ცენტრალური გათბობა საჩუქრად

პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესი“:

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის სადაზღვევო გარანტია.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business